



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სახელწოდება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:
კინომცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)

საბაკალავრო პროგრამა: მუსიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)

სამაგისტრო პროგრამა: კინომცოდნეობა

სამაგისტრო პროგრამა: ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
29–30.09.2023

დასკვნის წარდგენის თარიღი
30.11.2023

თბილისი

შინაარსი

- I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ.....5
- II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა7

| | |
|---|----|
| III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან | 18 |
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა..... | 18 |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | 40 |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | 56 |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | 62 |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები..... | 85 |

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|--|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204861970 |
| დაწესებულების ტიპი | უნივერსიტეტი |

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | რიმა პოვილიონიენე ლიეტუვის მუსიკისა და თეატრის აკადემია, ლიეტუვა |
| წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | თამარ ჩხეიძე ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | სოფიო თავაძე სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ია ნაცვლიშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ჯოვანა აბლოთია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო |

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

| | პროგრამა 1 | პროგრამა 2 | პროგრამა 3 | პროგრამა 4 |
|--|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | კინომცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) Film Studies (Major and Minor) | მუსიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) Music (Major and Minor) | კინომცოდნეობა Film Studies | ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში The Art of Live Theater Directing and Acting |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი | ბაკალავრიატი | მაგისტრატურა | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | კინომცოდნეობის ბაკალავრი Bachelor in Film Studies | ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი სამუსიკო ხელოვნებაში Bachelor of Arts in Music Art | კინომცოდნეობის მაგისტრი Master in Film Studies | 1. თეატრის რეჟისურის მაგისტრი / Master of Directing 2. სამსახიობო ხელოვნების მაგისტრი / Master of Acting |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0215 - მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება 0215 | 0215 - მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება 0215 | 0215 - მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება 0215 | 0215 - მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება 0215 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ¹ | - | - | - | - |
| სწავლების ენა | ქართული | ქართული | ქართული | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 ECTS კრედიტი | 240 ECTS კრედიტი | 120 ECTS კრედიტი | 120 ECTS კრედიტი |

¹ (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

| | | | | |
|---|--|--|--|---|
| <p>პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთა შორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)</p> | <p>აკრედიტებული No. 68, 30 სექტემბერი, 2011 წ.</p> | <p>აკრედიტებული No. 59, 23 სექტემბერი, 2011 წ.</p> | <p>აკრედიტებული No. 60, 23 სექტემბერი, 2011 წ.</p> | <p>აკრედიტებული No. 1117365, 20 ოქტომბერი 2021 წ.</p> |
|---|--|--|--|---|

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ²**

აკრედიტაცია განხორციელდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასტერში დაჯგუფებულ ოთხ სასწავლო პროგრამაზე:

1. საბაკალავრო პროგრამა „კინომცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ [შემდგომში პროგრამა 1]
2. საბაკალავრო პროგრამა „მუსიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ [შემდგომში პროგრამა 2]
3. სამაგისტრო პროგრამა „კინომცოდნეობა“ [შემდგომში პროგრამა 3]
4. სამაგისტრო პროგრამა „ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში“ [შემდგომში პროგრამა 4]

პროგრამები 1, 2 და 3 უნივერსიტეტში 2011 წლიდან ხორციელდება: კინომცოდნეობის საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2011 წლის 30 სექტემბერს, №68 გადაწყვეტილებით; მუსიკის საბაკალავრო პროგრამას - 2011 წლის 23 სექტემბერს, № 59 გადაწყვეტილებით; კინომცოდნეობის სამაგისტრო პროგრამას - 2011 წლის 23 სექტემბერს, №60 გადაწყვეტილებით; ხოლო ცოცხალი თეატრის ხელოვნების: დადგმა და თამაში სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება 2021 წლიდან, 2021 წლის 20 ოქტომბრის №1117365 გადაწყვეტილების შესაბამისად.

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 კრედიტს, საიდანაც 120 კრედიტი ენიჭება ძირითად სპეციალობას; თავისუფალი კომპონენტები მოიცავს ზოგად მოდულს (60 კრედიტი), ხოლო დამატებით/თავისუფალ კომპონენტზე გამოყოფილია 60 კრედიტი; პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი (8 სემესტრი). სამაგისტრო პროგრამის მოცულობა 120 კრედიტია, ხოლო ხანგრძლივობა 2 წელი (4 სემესტრი). 1 კრედიტი უდრის 25 აკადემიურ საათს. ოთხივე პროგრამა ხორციელდება თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირის N32- ში მდებარე A, B, C და D კორპუსებში; და პროგრამებს ახორციელებს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ადგილზე ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრს მიეწოდა 107 გვერდიანი თვითშეფასების ანგარიში და დამხმარე დოკუმენტაცია (პროგრამების დეტალური სპეციფიკაცია, მათ შორის სასწავლო გეგმები, კურსების სილაბუსები, განმახორციელებელი პერსონალის სიები და პირადი მონაცემები, ინფორმაცია სწავლის შედეგების, შეფასების, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და ა.შ. შესახებ) ინგლისურ და ქართულ ენებზე.

ექსპერტთა ჯგუფმა, წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით, 2023 წლის 29-30 სექტემბერს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი. ჯგუფმა გასაუბრება ჩაატარა შემდეგ ჯგუფებთან: უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ადმინისტრაცია, თვითშეფასების ჯგუფი, ყველა პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, პროგრამების ხელმძღვანელები, სტუდენტები და ყველა პროგრამის კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები.

ვიზიტის პირველი დღის ბოლოს და მეორე დღის დასაწყისში, ჯგუფმა

² პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

დაათვალიერა უნივერსიტეტის შენობები და გაეცნო სასწავლო პროცესისთვის ხელმისაწვდომ მატერიალურ და ტექნიკურ ბაზას, მათ შორის ბიბლიოთეკის სწავლის მართვის სისტემას, მთავარ დარბაზს და ილიაუნის თეატრს, სამუსიკო ცენტრს და სალექციო და სავარჯიშო ოთახებს. დაწესებულებაში ვიზიტის დასასრულს, ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და გააცნო წინასწარი მიგნებები. ვიზიტის დროს ჯგუფმა მოითხოვა დამატებითი დოკუმენტები და დაწესებულებამ ზოგიერთი მათგანი წარმოადგინა.

ვიზიტი კოლეგიურ და კონსტრუქციულ გარემოში მიმდინარეობდა. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის შიგნით არის კარგად ორგანიზებული კომუნიკაცია და თანამშრომლობა დეპარტამენტებსა და სამსახურებს შორის, და სურს გულწრფელად გადაუხადოს მადლობა ყველა მონაწილეს თანამშრომლობისთვის და ჩართულობისთვის ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებულ გასაუბრებებში.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა 1 („კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა“)

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 2 („მუსიკის (მაჟორიტარი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა“)

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 3 (კინომცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა)

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 4 ("ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში")

სტანდარტი 1: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაცია:**

კომპონენტი 1.1

პროგრამა 1 (კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) საბაკალავრო პროგრამა)

1) რეკომენდებულია კვალიფიკაციის სათაურის გასწორება ინგლისურ ენაზე შემდეგნაირად: “Bachelor of Film Studies”.

პროგრამა 3 (კინომცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა)

1) რეკომენდებულია კვალიფიკაციის სათაურის გასწორება ინგლისურ ენაზე შემდეგნაირად:

“Bachelor of Film Studies”.

კომპონენტი 1.4.

პროგრამა 1 (კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) საბაკალავრო პროგრამა)

- 1) რეკომენდებულია, პროგრამაში განისაზღვროს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით, პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის - „კინომცოდნეობის ბაკალავრის“ შესაბამისად.
- 2) რეკომენდებულია, პროგრამის მიზნების შესაბამისად, მომზადდეს სასწავლო კურსი ანიმაციური კინოს შესახებ ან აისახოს შესაბამისი თემატიკა მსოფლიო კინოს ისტორიის სასწავლო კურსში.
- 3) რეკომენდებულია, სასწავლო კურსები: „დოკუმენტური კინოს ისტორია 1“ და „დოკუმენტური კინოს ისტორია 2“ სავალდებულო-არჩევითი კურსების ბლოკიდან გადავიდეს სავალდებულო კურსების ბლოკში, რათა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები იყოს მიღწევადი.
- 4) მიზანშეწონილია, სასწავლო კურსები: „მსოფლიო კინოს ისტორია 1 (კინოს დაბადების წინაპირობები, უხმო კინო, ხმა კინოში)“ და „კინოკრიტიკის თეორია და პრაქტიკა 1 (უხმო კინოს ესთეტიკა)“ შეისწავლებოდეს პარალელურად, ვინაიდან „მსოფლიო კინოს ისტორია 1“-ით განსაზღვრული კინოპროცესების გაცნობა და გაანალიზება სტუდენტს გაუადვილებს უხმო კინოს ესთეტიკის აღქმას, სხვადასხვა კინოთეორიების გააზრებას, კინოხელოვნების ბუნების, გამომსახველობის თუ დანიშნულების შესწავლას - „კინოკრიტიკის თეორია და პრაქტიკა 1“-ის მიზნის შესაბამისად.

პროგრამა 2 (მუსიკის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა)

- 1) რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურის შეცვლა – კლასიკური ფორტეპიანოსა და ბაროკოს კლავესინის მომზადების კურსებისა და სპეციალობის ბლოკების სტატუსის შეცვლა, ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო საგნებიდან არჩევითი საგნების ბლოკში გადატანა. გარდა ამისა, საჭიროა სწავლის შედეგების გადახედვაც.

პროგრამა 3 (კინომცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა)

- 1) რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „კრიტიკული წერა“ საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე წარმოდგენილი იყოს განსხვავებული სახელწოდებით, მიზნით, სწავლის შედეგებით, თემატიკით და სასწავლო რესურსით.

კომპონენტი 1.5.

ზოგადი რეკომენდაცია

- 1) რეკომენდებულია სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის განახლება ან რიდერის მომზადება, რათა იგი შეესაბამებოდეს მიმართულების/დარგის თანამედროვე მიღწევებს და უახლეს კვლევებს.

პროგრამა 2 (მუსიკის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა)

- 1) რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსი „ილიაუნის ხალხური სიმღერის სტუდენტური გუნდი“ და გასწორდეს უზუსტობა სტუდენტთა საბოლოო შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით.
- 2) რეკომენდებულია გადაიხედოს შინაარსი, სასწავლო მასალა და კრედიტების მოცულობა მუსიკალური შესრულების სპეციალობებში - კლავიშებიანი

ინსტრუმენტები და კლავესინი.

პროგრამა 3 (კინომცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა)

1) რეკომენდებულია, გადამუშავდეს სასწავლო კურსი „თანამედროვე მსოფლიო კინოს პრობლემები და ტენდენციები“, რომელშიც გვხვდება მიზნის, სწავლის შედეგების, თემების და ლიტერატურის დუბლირება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსთან „თანამედროვე კინემატოგრაფი“.

კომპონენტი 2.1.

პროგრამა 2 (მუსიკის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა)

- 1) პროგრამაზე დაშვების წინაპირობად, განსაკუთრებით მუსიკალური შესრულების მიმართულებებში (კლასიკური ფორტეპიანო, კლავესინი, ჯაზის ვოკალი და ჯაზ ორკესტრი), რეკომენდებულია შესაბამისი მისაღები კრიტერიუმების შემუშავება (მაგ., მუსიკალური რეპერტუარის სახელმძღვანელო, წარმოდგენის ხანგრძლივობა და ა.შ.) და კანდიდატების შეფასება, მათი სამემსრულებლო უნარების გამოვლენის მიზნით.
- 2) იმისათვის, რომ მიღების წესების ფორმულირება ინგლისურ ენაზე თანმიმდევრული იყოს ორ დოკუმენტში (სასწავლო გეგმა და პროგრამაზე დაშვების წინაპირობები), სასწავლო გეგმა უნდა შესწორდეს შემდეგნაირად: „შიდასაუნივერსიტეტო შემოქმედებითი უნარების ტესტი, აუდიციის (მოსმენის) ფორმით...“

პროგრამა 3 (კინომცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა)

- 1) პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში უნდა განისაზღვროს, აქვთ თუ არა კანდიდატებს გამოცდიდან გათავისუფლების უფლება, ინგლისური ენის ცოდნის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარდგენის შემთხვევაში.

კომპონენტი 4.1

პროგრამა 2 (მუსიკის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა)

- 1) რეკომენდებულია პერსონალის შემოქმედებითი და სამეცნიერო საქმიანობის ამაღლება და გაზრდა, რადგან დოკუმენტაციის განხილვისას გამოიკვეთა გარკვეული პასიურობა სამეცნიერო თუ შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით.

კომპონენტი 4.4.

ზოგადი რეკომენდაცია

- 1) რეკომენდებულია საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, შემდეგ მხატვრულ პროგრამებთან მიმართებით, მაგ: JSTORE Music Collection, EBRARY COLLECTION, Naxos Music Library, Music and Dance Online (ProQuest), Theatre and Drama Premium (ProQuest), Drama Texts Collection (ProQuest), Digital Theatre+, Medici TV EDU, Drama Online, Bloomsbury video library, ფილმების და სატელევიზიო ლიტერატურის ინდექსი სრული ტექსტით (EBSCO), თეატრისა და ცეკვის საერთაშორისო ბიბლიოგრაფია სრული ტექსტით (EBSCO), MGG Online, RILM ან RISM.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

კომპონენტი 1.4

პროგრამა 1 (კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა)

- 1) იმისთვის, რომ კურსდამთავრებულებმა შეძლონ ფილმების კრიტიკული შეფასება, აუცილებელია, რომ მათ ჰქონდეთ კინოში მხატვრობის როლისა და დანიშნულების ყოველმომცველი გაგება, ანუ კინემატოგრაფია, ვიზუალური თხრობა, ამიტომ

სასურველია პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი „კინემატოგრაფია“.

პროგრამა 4 ("ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში", სამაგისტრო პროგრამა)

- 1) პროგრამის კატალოგში შესული კურსების განსაკუთრებით დიდი რაოდენობის გამო, სადაც ზოგიერთი კურსი უფრო ბაკალავრიატის საფეხურისთვისაა შესაფერისი, სასურველია კურსის შინაარსის კრიტიკულად გადახედვა და, სავარაუდოდ, ზოგიერთი საგნის ამოღება, ან უნივერსიტეტმა შეიძლება განიხილოს ერთწლიანი მოსამზადებელი (საკომპენსაციო) სწავლის ორგანიზება.

კომპონენტი 1.5.

ზოგადი რჩევა

- 1) სასურველია თითოეული სავალდებულო სასწავლო კურსისთვის განისაზღვროს სწავლის შედეგის მიღწევის დონე (მაგ. ნომერი 1 მიუთითებს კურსის შესავალ დონეს - გაცნობას, 2 – გაღრმავებას, 3 – გამტკიცებას).

კომპონენტი 4.1

ზოგადი რჩევა

- 1) სასურველია CV- ის შაბლონის შემუშავება, აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, რომელიც მოიცავს სრულყოფილ ინფორმაციას გამოცდილების და კომპეტენციის შესახებ (განათლება, სამუშაო გამოცდილება, გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში/ პროექტებში და ა.შ.).

პროგრამა 2 (მუსიკის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა)

- 1) პროგრამის განვითარებისთვის, სასწავლო პროცესის ეფექტური განხორციელებისა და პროგრამის მიზნების მისაღწევად, სასურველია მოწვეული პერსონალის გაზრდა (გაფართოება) დარგის შესაბამისი ფორმალური განათლების მქონე პირებით.

პროგრამა 4 ("ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში", სამაგისტრო პროგრამა)

- 1) სასწავლო პროცესის სწორად განხორციელებისა და პროგრამის მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად, სასურველია დარგობრივი გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

კომპონენტი 4.3.

ზოგადი რჩევები

- 1) სასურველია ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მუშაობის გაძლიერება, საერთაშორისო შემოქმედებით და სამეცნიერო პროექტებში პერსონალის ჩართულობა - საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობისა და პროფესიული უნარების განვითარების მიზნით.
- 2) სასურველია პერსონალის შემოქმედებითი/სამეცნიერო საქმიანობის გაზრდა, ასევე ანალიზის ჩატარება და ამგვარი საქმიანობის შეფასება.

კომპონენტი 4.4.

პროგრამები 1 და 3 (კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა და მუსიკის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა)

- 1) სასურველია ხარისხიანი კინოტექნიკის მოწყობა (როგორცაა პატარა კინოდარბაზი დიდი ეკრანით), სადაც სტუდენტებს საშუალება ექნებათ უყურონ და პროფესიონალურად შეისწავლონ საჭირო სასწავლო მასალა, ანუ კურსებზე განიხილავენ გარკვეულ ფილმებს, მაღალი ხარისხით.

პროგრამა 2 (მუსიკის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა)

- 1) სასურველია სტუდენტებს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე (მაგ., უნივერსიტეტის პერსონალის ზედამხედველობა) ჰქონდეთ კარგად აღჭურვილ ჯაზის ოთახში მეცადინეობის შესაძლებლობა.

კომპონენტი 5.3.

ზოგადი რჩევა

- 1) დოკუმენტები, რომლებიც აღწერს საგანმანათლებლო პროგრამების შედარებას უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან, უნდა შეიცავდეს უფრო დეტალურ ანალიზს იმის შესახებ, თუ როგორ და რამდენად არის ეს პროგრამების მსგავსი და რა პრაქტიკა გამოიყენება კონკრეტული უცხოური უნივერსიტეტებიდან.

პროგრამები 1 და 3 ("კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი)" საბაკალავრო პროგრამა და "კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი)" სამაგისტრო პროგრამა)

- 1) სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის პერიოდული შედარება უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან, ასევე დეტალური შედარებითი ანალიზის მომზადება პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენების მიზნით.

• საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)³

მოწოდებულ დოკუმენტაციასა და ადგილზე ვიზიტის დროს გასაუბრებებზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფი ხაზს უსვამს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შემდეგ უპირატესობებს:

- მუსიკალური ტექნოლოგიების სპეციალობით „მუსიკის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამის“ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი.
- კვლევისა და სწავლების ინტეგრაცია, სადოქტორო სწავლების სასწავლო კურსებად გარდაქმნისა და ახალი მრავალფეროვანი არჩევითი კომპონენტების შეთავაზების საუკეთესო პრაქტიკა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურებზე (მაგ., „კინომცოდნეობის“ საბაკალავრო პროგრამაში).
- საერთაშორისო ლიბერალური მიდგომა და „მუსიკის (ძირითადი და დამატებითი)“ საბაკალავრო პროგრამის კურსების, ბლოკებისა და მაინორის მოდულების როლი მუსიკალური ხელოვნების სოციალიზაციაში სტუდენტებს შორის როგორც უნივერსიტეტში, ისე მის ფარგლებს გარეთ.
- „ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაშის“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის განსაკუთრებული შესაძლებლობა, მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება უნივერსიტეტში ილიაუნის თეატრთან ერთად.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიურ განყოფილებაში - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე / მეცნიერებათა და ხელოვნების სკოლაში, რომელსაც უნივერსიტეტის ისტორიაში ყველაზე გრძელი ტრადიცია აქვს, კერძოდ, უნივერსიტეტის დაარსებიდან (2006 წლიდან). აქედან გამომდინარე, ხანგრძლივი საგანმანათლებლო გამოცდილება დიდწილად ადაპტირებულია ხელოვნების პროფილის საგანმანათლებლო პროგრამებში და უნივერსიტეტის განცხადებით, სკოლა არის „ერთ-ერთი ყველაზე დიდი და კარგი რეპუტაციის მქონე ფაკულტეტი“. ამჟამად, უნივერსიტეტი, ალბათ, ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია ქვეყანაში, რომელიც სწავლისადმი ლიბერალურ მიდგომას ავითარებს და არის ღია და ორიენტირებული საზოგადოებისა და დამსაქმებლების მიმართ. ლიბერალური აქცენტი და ინდივიდუალობისა და კრეატიულობის სტიმულირება მიმდინარეობს სასწავლო კურსების მრავალფეროვნებით, სტუდენტებს უფლება აქვთ შექმნან საკუთარი სასწავლო გეგმა მათი

³ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

პრეფერენციების მიხედვით, აირჩიონ კურსები ძირითად/ დამატებით პროგრამებზე; ჯგუფური ლექციები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ყველა სტუდენტისთვის. ასევე, უნივერსიტეტის ერთ- ერთი უპირატესობაა ის, რომ პედაგოგთა უმეტესობა არის თავის სფეროს პრაქტიკოსი პროფესიონალი, ამიტომ თეორიასა და პრაქტიკას შორის კავშირი და ურთიერთქმედება ძალიან მჭიდროა და შეესაბამება უახლეს ტენდენციებს.

- **ინფორმაცია უსდ- ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფს, პირველ რიგში, სურს მადლობა გადაუხადოს უნივერსიტეტის წარმომადგენლებს ანგარიშის პროექტისა და წარმოდგენილი რეკომენდაციების დეტალური ანალიზისთვის. ქვემოთ, ექსპერტები წარმოადგენენ შემდეგ მოსაზრებებს. ასევე აღნიშნულია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის წესდების 22- 4¹- ე და 27²- 11- ე მუხლის მიხედვით, ვიზიტის შემდგომი ცვლილებები (და ახლად მიღებული დოკუმენტები) არ შეიძლება იყოს გათვალისწინებული; შესაბამისად, ზოგიერთი რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

ქვესტანდარტი 1.1- ის რეკომენდაციების არგუმენტები

1) არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ქვესტანდარტი 1.1- ის ორი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა კვალიფიკაციის ინგლისური სათაურის კორექტირებას („კინომცოდნეობის ბაკალავრი“ და „კინომცოდნეობის მაგისტრი“), სადაც აღნიშნულია, რომ ეს იყო ტექნიკური შეცდომა ინგლისურ თარგმანში. ზემოაღნიშნულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით, რეკომენდაციები უცვლელი რჩება.

2) ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის უნივერსიტეტს არგუმენტირებული პოზიციის განმარტებისთვის. ამიტომ, რეკომენდაცია ამოღებულია.

ქვესტანდარტი 1.4- ის რეკომენდაციების არგუმენტები

პროგრამა 1 (კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა)

1) ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა უნივერსიტეტის პასუხი. ჯგუფის აზრით, არჩევით ბლოკში წარმოდგენილი კურსები არ შეესაბამება ძირითადი სასწავლო დარგის 120 კრედიტს, რაც თავისთავად უზრუნველყოფს დასახული შედეგების მიღწევას. რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

2) ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა უნივერსიტეტის პასუხი და მიიჩნევს, რომ მას არგუმენტირება აკლია. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასწავლო გეგმის ერთ- ერთი თემა არ ამალღებს ცოდნას და საკმარისად ვერ ასახავს ანიმაციური ფილმის თემას, რადგან ის უნდა შეესაბამებოდეს პროგრამით გათვალისწინებულ მიზანს. რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

3) უნივერსიტეტის პასუხის განხილვისას ექსპერტთა ჯგუფმა ის არადაამაჯერებლად მიიჩნია. ეს გამოწვეულია იმით, რომ სასწავლო გეგმის სავალდებულო კურსები (მათ შორის, თანამედროვე კინემატოგრაფია) სათანადო აქცენტს არ აკეთებს დოკუმენტურ ფილმებზე, რაც დასაფიქრებელია. რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

4) ექსპერტთა ჯგუფი უნივერსიტეტის პასუხის გაცნობის შემდეგ რეკომენდაციას უცვლელად ტოვებს. ეს რეკომენდაცია ეფუძნება სასწავლო კურსების გამოწვევებსა და სირთულეს. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო კურსები თანმიმდევრულად და ლოგიკურად მისდევდეს ერთმანეთს როგორც შინაარსის, ისე სირთულის დონის შესაბამისად.

პროგრამა 2 (მუსიკის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა)

1) არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება განმარტებას და რეკომენდაციას უცვლელად ტოვებს. უნივერსიტეტის პასუხი არადაამაჯერებელია და არ აქვს საკმარისი არგუმენტაცია. ჯგუფი არაერთხელ უსვამს ხაზს, რომ სწავლის შედეგების მიღწევა არ არის რეალისტური მიმდინარე დატვირთვის პირობებში

- ანუ კლასიკური ფორტეპიანოს სილაბუსებში, როგორცაა "ფორტეპიანოს ხელოვნება 4", ჩამოთვლილი რეპერტუარი არ არის რეალისტურად მიღწევადი მისი სირთულის გამო (მაგალითად, ლისტის საკონცერტო ეტიუდები, პაგანინისა და რახმანინოვის უკიდურესად ვირტუოზული ეტიუდები და ასე შემდეგ). კურსდამთავრებულთა მოცემული შემთხვევები არ განიხილება, მაგალითად, ნიკოლოზ შენგელია არის თბილისის კონსერვატორიის კომპოზიციის სპეციალობის სტუდენტი, ხოლო ილიას უნივერსიტეტში სწავლობდა მუსიკას მაინორ პროგრამაზე. ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს კლასიკური საფორტეპიანო განათლების მაინორ პროგრამად შეთავაზების მნიშვნელობას და უპირატესობას, და თვლის, რომ იგი უნივერსიტეტის ძლიერი მხარეა ლიბერალური ხელოვნების მიმართულებით. თუმცა, დაწესებულებამ კრიტიკულად უნდა შეაფასოს რამდენად შესრულებადი და შესაძლებელია კლასიკური ფორტეპიანოსა და კლავესინის როგორც ძირითადი პროგრამის მიმართულება. რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

პროგრამა 3 (კინომცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა)

1) რეკომენდაცია უცვლელი რჩება. ექსპერტთა ჯგუფი არაერთხელ აღნიშნავს, რომ ორივე საფეხურზე (ბაკალავრიატი და მაგისტრატურა) სასწავლო კურსების სათაურები, მიზნები და შედეგები, ასევე სასწავლო მასალა და საგნების უმეტესობა, იდენტურია. ეს დაკვირვება ეფუძნება აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზს.

ქვესტანდარტი 1.5- ის რეკომენდაციების არგუმენტები

1) ექსპერტთა ჯგუფი ინარჩუნებს ზოგად რეკომენდაციას „სავალდებულო ლიტერატურის განახლების შესახებ...“, რადგან ის ეფუძნება ვიზიტის დროს ჩატარებულ გასაუბრებებს კლასტერში დაჯგუფებული ყველა პროგრამის სტუდენტებთან (არა მხოლოდ "კინომცოდნეობის"), რომლებმაც გამოთქვეს ქართულ ენაზე ლიტერატურის საჭიროება.

პროგრამა 2 (მუსიკის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა)

1) არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, რეკომენდაცია („ილიაუნის ხალხური სიმღერის სტუდენტური გუნდი“ სასწავლო კურსის გადახედვა და საბოლოო შეფასებაში სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებული უზუსტობის გასწორება“) გათვალისწინებულ იქნა, შეცდომა და სილაბუსი გასწორდა. ვიზიტის შემდგომი ცვლილებები და დამატებითი დოკუმენტები მხედველობაში არ მიიღება; შესაბამისად, რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

2) არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, გათვალისწინებულია რეკომენდაცია („შინაარსის, სასწავლო მასალისა და კრედიტების მოცულობის გადახედვა მუსიკალური შესრულების სპეციალობებში - კლავიშებიანი ინსტრუმენტები და კლავესინი“). რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

პროგრამა 3 (კინომცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა)

1) არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, მიღებულია რეკომენდაცია (სასწავლო კურსის „თანამედროვე მსოფლიო კინოს პრობლემები და ტენდენციები“ გადახედვა, რომელიც იმეორებს საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსის „თანამედროვე კინემატოგრაფია“ მიზანს, სწავლის შედეგებს, თემებსა და ლიტერატურას), ტექნიკური შეცდომა გასწორდა და სილაბუსი განახლდა. ვიზიტის შემდგომი ცვლილებები და დამატებით წარდგენილი დოკუმენტები მხედველობაში არ მიიღება; შესაბამისად, რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

ქვესტანდარტი 1.2- ის რეკომენდაციების არგუმენტები

პროგრამა 2 (მუსიკის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა)

1) არგუმენტირებული პოზიციის ახსნა- განმარტების მიხედვით, ამოღებულია რეკომენდაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ „... გადაიხედოს და განახლდეს ვებგვერდი უახლესი ინფორმაციით“.

2) არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, გათვალისწინებული იყო რეკომენდაცია („პროგრამაზე დაშვების წინაპირობად... რეკომენდებულია შესაბამისი მისაღები კრიტერიუმების შემუშავება... და კანდიდატების შეფასება, საშემსრულებლო უნარების გამოვლენის უზრუნველსაყოფად“). ვიზიტის შემდგომი ცვლილებები და დამატებით წარდგენილი დოკუმენტები მხედველობაში არ მიიღება; შესაბამისად, რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

3) არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, გათვალისწინებულ იქნა რეკომენდაცია („იმისათვის, რომ დაშვების წესების ფორმულირება ინგლისურ ენაზე თანმიმდევრული იყოს ორ დოკუმენტში ...“), ეს იყო ტექნიკური შეცდომა. ვიზიტის შემდგომი ცვლილებები მხედველობაში არ მიიღება; შესაბამისად, რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

პროგრამა 3 (კინომცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა)

1) ექსპერტთა ჯგუფი ხაზს უსვამს, რომ სასწავლო პროგრამის ოფიციალური დოკუმენტები მკაფიო და ზუსტი უნდა იყოს და, შესაბამისად, უნდა განსაზღვრავდეს პროგრამაზე დაშვების ყველა შესაძლო გამოსავალს/ შემთხვევას. ამრიგად, რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

ქვესტანდარტი 4.1- ის რეკომენდაციების არგუმენტები

პროგრამა 2 (მუსიკის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა)

1) ექსპერტთა რეკომენდაცია ჩამოყალიბდა აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი მასალის შესწავლის შემდეგ, რომელიც მოიცავდა პერსონალის საქმიანობის ამსახველ დოკუმენტებს. დამატებით წარდგენილი დოკუმენტები მხედველობაში არ მიიღება. ამრიგად, რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

ქვესტანდარტი 4.3- ის რეკომენდაციების არგუმენტები

1) ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია „პერსონალის შემოქმედებითი/სამეცნიერო აქტივობის გაზრდა“ და მუდმივი მოტივაცია, და ამ საქმიანობის მონიტორინგი და ანალიზი; და ეს ეხება ზოგადად უნივერსიტეტის პედაგოგიურ პერსონალს. თუმცა, არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინებით, რეკომენდაცია გადავიდა რჩევებში.

ქვესტანდარტი 4.4- ის რეკომენდაციების არგუმენტები

1) ექსპერტთა ჯგუფი ითვალისწინებს არგუმენტირებულ პოზიციაში მოყვანილ კომენტარს JSTOR- ისა და „Music and Dance Online Proquest“- ის მონაცემთა ბაზებთან დაკავშირებით; თუმცა, ჯგუფს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია მხატვრული მიმართულების მონაცემთა ბაზების სიის გაფართოება არა მხოლოდ ჟურნალებისთვის/სტატიებისთვის, არამედ სხვადასხვა აუდიო და ვიდეო მასალისთვის (კონცერტების ჩანაწერები, ფილმების მონაცემთა ბაზები). შესაბამისად, რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

პროგრამა 2 (მუსიკის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა)

1) ექსპერტთა ჯგუფი სრულად აცნობიერებს უნივერსიტეტის პოზიციას მისი ინვენტარის მოვლისა და ზედამხედველობის შესახებ და ა.შ. არგუმენტირებული პოზიციის განხილვის შემდეგ, ჯგუფმა გადაიტანა რეკომენდაცია რჩევების ნაწილში. თუმცა, ექსპერტები ხაზს უსვამენ რამდენად მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის თავისუფლად და დამოუკიდებლად ჩაერთონ მუზიციურებასა და პრაქტიკაში, ზედმეტი შეზღუდვების გარეშე.

ქვესტანდარტი 5.3- ის რეკომენდაციების არგუმენტები

1) არგუმენტირებული პოზიციის განხილვის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა გადაწყვიტა ზოგადი რეკომენდაციის, ასევე 1 და 3 პროგრამების რეკომენდაციების გადატანა რჩევების ნაწილში.

2) ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის უნივერსიტეტს მოწოდებულ არგუმენტირებულ პოზიციაში ფაქტობრივი გარემოებების ასახვისთვის. ჯგუფის

გადაწყვეტილებით, მანამდე გაცემული რეკომენდაციები მე-2 და მე-4 პროგრამებისთვის ამოღებულია.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების მიზნით, ბოლო ხელახალი აკრედიტაციის შემდეგ განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, კომპონენტების სტრუქტურისა და გეგმის ცვლილება/ განახლება; სწავლის შედეგების რუკების შემუშავება (კომპეტენციების რუკები); სწავლებისა და სწავლის ხარისხის შეფასების მექანიზმებისა და ინსტრუმენტების განახლება; პროგრამების განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების გაუმჯობესება (ონლაინ მონაცემთა ბაზები, წიგნადი ფონდი, სწავლებისა და შეფასების ონლაინ ინსტრუმენტები, მაგ. პლატფორმა www.elearning.iliauni.edu.ge, Turnitin, ელექტრონული პორტალი „არგუსის“ გაუმჯობესება). ასევე, პროგრამებში განახლდა კურსის სილაბუსები, რომლებიც დაკავშირებულია დარგის მთავარ გამოწვევებთან და ახალ ტენდენციებთან; დაემატება/ განახლდა სავალდებულო, სავალდებულო- არჩევითი და არჩევითი კურსები; ცვლილებები განხორციელდა პროგრამების მიზნებში, სწავლის შედეგებსა და სტრუქტურაში; პროგრამები ადაპტირდა ახალ სტანდარტებთან, რომელიც მოიცავს სწავლის სფეროების კლასიფიკაციას, ახალ კვალიფიკაციების ჩარჩოს (დონეები 6 და 7) და შესაბამის დარგობრივ მახასიათებლებს (მუსიკის საბაკალავრო და თეატრის ხელოვნების სამაგისტრო პროგრამებში). „კინომცოდნეობის“ სამაგისტრო პროგრამის 2011 წლის აკრედიტაციის დროს გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე (პროტოკოლი No. 4, 23 სექტემბერი 2011), ინგლისური ენის ცოდნა (B2) განისაზღვრა, როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობა.

მანამდე, 2011 წლიდან, „კინომცოდნეობის“ საბაკალავრო პროგრამა წარმოდგენილი იყო, როგორც ერთ- ერთი მიმართულება ერთობლივ პროგრამაში „ჰუმანიტარული მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი: ანგლისტიკა, გერმანისტიკა, ესპანური, საფრანგეთისმცოდნეობა, იტალიისტიკა, სლავისტიკა, აღმოსავლეთმცოდნეობა, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ლიტერატურათმცოდნეობა, ქართული ფილოლოგია)“, ხოლო „კინომცოდნეობის“ სამაგისტრო პროგრამა შედიოდა ერთობლივ პროგრამაში „ხელოვნების თეორია და პრაქტიკა და კულტურის მენეჯმენტი“. 2017 წლიდან პროგრამები ხორციელდება სახელწოდებით „ხელოვნების თეორია და პრაქტიკის კვლევები (კინომცოდნეობა)“.

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება⁴
2. კლასტერული შეფასება⁵

| სტანდარტი/კომპონენტი | შეფასების მიდგომები |
|---|---------------------|
| 1 საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის | |

⁴ შეფასების მიდგომები: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

⁵ შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

| | |
|---|-----------------------------|
| შესაბამისობა | |
| 1.1. პროგრამის მიზნები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | კლასტერული |
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 2 სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | |
| 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება უნარები | კლასტერული |
| 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები | კლასტერული |
| 2.4. სტუდენტის შეფასება | კლასტერული |
| 3 სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | |
| 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | კლასტერული |
| 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | კლასტერული |
| 4 სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | |
| 4.1. ადამიანური რესურსები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | კლასტერული |
| 4.4. მატერიალური რესურსები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 5 სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | |
| 5.1. შიდა ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.2. გარე ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | კლასტერული |

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

განხილული კლასტერული პროგრამები შემდეგია:

1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: კინომცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) [შემდეგში პროგრამა 1]
2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: მუსიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) [შემდეგში პროგრამა 12]
3. სამაგისტრო პროგრამა: კინომცოდნეობა [შემდეგში პროგრამა 3]
4. სამაგისტრო პროგრამა: ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში [შემდეგში პროგრამა 4]

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები შეისწავლიან საშემსრულებლო ხელოვნებასთან დაკავშირებულ პრინციპებსა და ტექნიკას (მუსიკა, თეატრი, თამაში, რეჟისურა, პერსონაჟების განვითარება, იმპროვიზაცია), მათ შორის თეორიასა და კრიტიკას.

შეფასებული პროგრამების მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიებს; თითოეული პროგრამა შეესაბამება მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სტრატეგიას, რომელიც არის პროგრამების ადმინისტრატორი. თანდართული დოკუმენტები და გასაუბრების შედეგები ადგილზე ვიზიტის დროს ადასტურებს, რომ პროგრამების მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული, რეალისტური და მიღწევადი და სრულ შესაბამისობაშია დარგის აღწერასთან. საბაკალავრო პროგრამების მიზანია სტუდენტებმა განავითარონ ფართო დარგობრივი ცოდნა, ხოლო სამაგისტრო პროგრამებში ისინი აძლიერებენ პროფესიონალიზმს შესაბამის სფეროში, აღრმავებენ კვლევისა და შესრულების უნარ-ჩვევებს.

აღწერა და ანალიზი

პროგრამა 1 (კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა)

პროგრამა 1 აკრედიტებულია 2011 წელს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება No68, 30 სექტემბერი 2011 წ.). პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული, რეალისტური და მიღწევადი, და ასახავს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებზეც პროგრამა არის ორიენტირებული.

პროგრამის მიზანია „მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელსაც აქვს ფართო ცოდნა ქართული და მსოფლიო კინოს ისტორიის, მისი განვითარების ეტაპებისა და ჟანრების შესახებ (მხატვრული (მუნჯი და ხმოვანი) კინო, დოკუმენტური ფილმები, ანიმაციური ფილმები)“; ამის საფუძველზე სტუდენტი იძენს კინოკრიტიკის საფუძვლებს და შეუძლია ფილმების შესახებ კრიტიკულად წეროს.

პროგრამა სტუდენტებში ავითარებს მნიშვნელოვან ტრანსფერულ უნარებს, რაც აუცილებელია მათი დასაქმებისა და შემდგომი სწავლისთვის, მათ შორის ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის უნარს, კრიტიკულ ანალიტიკურ აზროვნებასა და მსჯელობას, ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარს, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

პროგრამა ორიენტირებულია კვალიფიციური პროფესიონალების მომზადებაზე, რომლებსაც ექნებათ როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნა. ეს მიზნები ასახავს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შეტანილ წვლილს. პროგრამის მიზნები თავსებადია როგორც უნივერსიტეტის მისიასთან, მიზნებთან და სტრატეგიასთან, ასევე მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მიზნებთან და ამოცანებთან.

პროგრამის მიზნები შეესაბამება დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დასაქმების ბაზრის კვლევის ანგარიშის და დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ კვლევაში მონაწილე დამსაქმებლები გაეცნენ კინომცოდნეობის საბაკალავრო პროგრამას და მისცეს რჩევები და რეკომენდაციები მის სტრუქტურასა და შინაარსთან დაკავშირებით. რესპონდენტთა აზრით, პროგრამა კომპლექსურია, შეესაბამება დარგის მოთხოვნებს და ორიენტირებულია კინომცოდნეობის სფეროში კვალიფიციური სპეციალისტის აღზრდაზე.

პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა დაადასტურეს შემდეგმა დაინტერესებულმა მხარეებმა: აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა, დამსაქმებლებმა. პროგრამის მიზნებს იზიარებს პროგრამის პერსონალი, ისინი საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

სწავლის პერიოდში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი, რომელიც შეიცავს:

- თავისუფალ კომპონენტს: ზოგადი მოდული – 60 კრედიტი,
- ძირითად სპეციალობას – 120 კრედიტი,
- მაინორ / თავისუფალ კომპონენტს – 60 კრედიტი.

ჯგუფს სურს გასცეს რეკომენდაცია მისანიჭებელი კვალიფიკაციის ინგლისურ სათაურთან დაკავშირებით. როგორც თვითშეფასების ანგარიშის ინგლისურ ვერსიაში და სხვა წარდგენილ დოკუმენტებში ჩანს, ინგლისურად სათაური შეიცავს არასწორ წინდებულს „in“ და არ შეესაბამება სასწავლო დარგების ზოგად კლასიფიკატორს. კვალიფიკაციის სწორი ფორმულირება არის “Bachelor of Film Studies” „კინომცოდნეობის ბაკალავრი“. რეკომენდებულია კვალიფიკაციის სათაურის გასწორება ინგლისურ ენაზე “Bachelor of Film Studies”.

პროგრამა 2 (მუსიკის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა)

პროგრამა 2 აკრედიტებული იყო 2011 წელს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება No59, 2011 წლის 23 სექტემბერი). პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული, რეალისტური და მიღწევადი, და ასახავს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებზეც პროგრამა არის ორიენტირებული. პროგრამის მიზანია „მოამზადოს კომპეტენტური სპეციალისტი მრავალმხრივი შემოქმედებითი შესაძლებლობებით და მუსიკის სფეროში ძირითადი კონცეფციების, თეორიებისა და მიდგომების ფართო ცოდნით“. პროგრამა ასევე ორიენტირებულია ისეთი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, როგორცაა კრიტიკული ანალიზი, არგუმენტირება და მსჯელობა, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ქართულ და უცხო ენაზე, ეფექტური ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის უნარი.

პროგრამა საშუალებას მისცემს სტუდენტებს გაიარონ სპეციალიზაცია და განავითარონ საკუთარი მუსიკალური ინტერესები მუსიკის თეორიისა და ისტორიის, ეთნომუსიკოლოგიის, სამემსრულებლო ხელოვნებისა და ელექტროაკუსტიკური და კომპიუტერული მუსიკის

დარგებში სოლიდური, ფართო განათლების მიღებისას.

ექსპერტთა ჯგუფი ხაზი უსვამს, რომ პროგრამა მულტიდისციპლინურია და აერთიანებს დარგის სპეციფიკურ დისციპლინებს ზოგადი/ლიბერალური საუნივერსიტეტო განათლების კომპონენტებთან. ფართო კომპეტენციებითა და დასაქმების ფართო არეალის მქონე ასეთი პროგრამა ერთადერთია საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში. ეს ყველაფერი თავის მხრივ ხელს უწყობს დარგისა და საზოგადოების განვითარებას. სწავლის პერიოდში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი, რომელიც მოიცავს:

- ზოგად მოდულს – 60 კრედიტი,
- ძირითად სპეციალობას – 120 კრედიტი,
- მაინორ ან თავისუფალ კომპონენტს/ დამატებით პროგრამას – 60 კრედიტი.

პროგრამის მიზნებს კარგად იცნობენ პროგრამის პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, რაც ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებებიდან გამოჩნდა. პროგრამის შესახებ ინფორმაცია, მისი მიზნებისა და შინაარსის ჩათვლით, საჯარო და ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაინტერესებული მხარეებისთვის ზუსტი და ობიექტური ინფორმაციის მისაღებად, ამიტომ რეკომენდებულია განახლდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე ჩამოთვლილი მუსიკის პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები აკრედიტაციის პროცესის დასრულების შემდეგ.

პროგრამა 3 (კინომცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამა 3 აკრედიტებულია 2011 წელს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება No60, 2011 წლის 23 სექტემბერი). პროგრამის მიზანია "მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც ფლობენ მსოფლიო და ქართული კინოს ისტორიის, თეორიის, პრაქტიკული ასპექტების და თანამედროვე ტენდენციების სისტემურ ცოდნას, ფილმის წარმოების სიღრმისეული ინტერპრეტაციისა და კრიტიკის უნარს; შეუძლიათ დამოუკიდებლად ჩაატარონ კვლევა კინომცოდნეობის სფეროში შესაბამისი კონცეპტუალური მიდგომებისა და მეთოდების გამოყენებით". პროგრამის კიდევ ერთი მიზანია განუვითაროს სტუდენტს პროფესიონალური და კვლევის ეთიკის პრინციპების დაკვირვების, ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი.

პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია, შეესაბამება იმ ცოდნასა და უნარებს, რომელთა განვითარებასაც პროგრამა ისახავს მიზნად. კინოს ისტორიაში, თეორიასა და დარგის უახლეს ტენდენციებში ჩაღრმავებასთან ერთად, პროგრამა ასევე ხელს უწყობს სტუდენტების კრიტიკული წერის და ანალიტიკური აზროვნების უნარის განვითარებას; მსოფლიო და ქართული კინო განიხილება ისტორიულ, კულტურულ და სოციალურ კონტექსტში. ეს ყველაფერი თავის მხრივ ხელს უწყობს დარგისა და საზოგადოების განვითარებას.

პროგრამის მიზნები თავსებადია როგორც უნივერსიტეტის მისიასთან, მიზნებთან და სტრატეგიასთან, ასევე მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მიზნებთან და ამოცანებთან. ასევე, პროგრამის მიზნები შეესაბამება დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დასაქმების ბაზრის კვლევის ანგარიშის და დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დამსაქმებლები გაეცნენ პროგრამას და მისცეს რჩევები და რეკომენდაციები მის სტრუქტურასა და შინაარსთან დაკავშირებით. რესპონდენტთა აზრით, პროგრამა კომპლექსურია, შეესაბამება დარგის მოთხოვნებს და ორიენტირებულია კინომცოდნეობის სფეროში კვალიფიციური სპეციალისტის აღზრდაზე.

პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა დაადასტურეს შემდეგმა დაინტერესებულმა მხარეებმა: აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა, დამსაქმებლებმა. პროგრამის მიზნებს იზიარებს პროგრამის პერსონალი, ისინი საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

სწავლის პერიოდში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი, რომელიც შეიცავს:

- სავალდებულო კურსებს - 54 კრედიტი
- სავალდებულო-არჩევით კურსებს - 30 კრედიტი;
- არჩევით კურსებს ნებისმიერი სამაგისტრო პროგრამიდან - 6 კრედიტი;

- სამაგისტრო ნაშრომს - 30 კრედიტი.

ჯგუფს სურს გასცეს რეკომენდაცია მისანიჭებელი კვალიფიკაციის ინგლისურ სათაურთან დაკავშირებით. როგორც თვითშეფასების ანგარიშის ინგლისურ ვერსიაში და სხვა წარდგენილ დოკუმენტებში ჩანს, ინგლისურად სათაური შეიცავს არასწორ წინდებულს „in“ და არ შეესაბამება სასწავლო დარგების ზოგად კლასიფიკატორს. კვალიფიკაციის სწორი ფორმულირება არის “Master of Film Studies” „კინომცოდნეობის მაგისტრი“. რეკომენდებულია კვალიფიკაციის სათაურის გასწორება ინგლისურ ენაზე “Master of Film Studies”.

პროგრამა 4 (ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში, სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამა 4 აკრედიტებულია 2021 წელს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება No1117365, 2021 წლის 20 ოქტომბერი). პროგრამის მიზანია „მომავალი რეჟისორებისა და მსახიობებისთვის სამსახიობო პრაქტიკასთან ინტეგრირებული გარემოს შექმნა, ინდივიდუალური შემოქმედებითი ხედვის განვითარება და სარეჟისორო ან სამსახიობო პრაქტიკული უნარების გაღრმავება, სტუდენტების მომზადება როგორც დამოუკიდებელი პროფესიონალური წინსვლისთვის, ასევე თეატრალური ხელოვნების სფეროში კონკურენტული გარემოს შესაქმნელად“.

სტუდენტებს შეუძლიათ თეატრში მუშაობა სახელოსნოს პრინციპებით; ისინი ავითარებენ ისეთ კომპეტენციებს, როგორცაა ინსტალაცია და შესრულება, სხეულის ენა, თოჯინების შოუს შექმნა, ოპერის რეჟისურა და ა.შ. პროგრამა ეფუძნება თეატრალური მიმართულებით მსოფლიოს წამყვანი სკოლების საგანმანათლებლო პროგრამების გამოცდილებას.

პროგრამის ერთ-ერთი განსაკუთრებული თვისებაა თოჯინების თეატრში სწავლისა და პრაქტიკის უნარი, ზოგადი ბლოკის/ მოდულის სავალდებულო კურსი „პრაქტიკა თოჯინების თეატრში“ განსაკუთრებულად ხელმისაწვდომია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. ასევე, ადგილზე ვიზიტის დროს დამსაქმებლებმა დაადასტურეს პროგრამის მნიშვნელობა და პროგრამის კურსდამთავრებულებზე მოთხოვნა განსაკუთრებით რეგიონული თეატრების მხრიდან.

სწავლის პერიოდში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი, რომელიც მოიცავს:

- ზოგად მოდულს / თეატრალურ ვორქშოფს – 51 კრედიტი
- სარეჟისორო მოდულს – 27 კრედიტი
- სამსახიობო მოდულს – 27 კრედიტი
- ზოგად არჩევით მოდულს – 12 კრედიტი
- დიპლომის წარმოდგენას – 30 კრედიტი
- მასტერკლასებს

პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, ამოცანებსა და სტრატეგიას და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მიზნებსა და ამოცანებს. პროგრამის მიზნებს იზიარებენ პროგრამის თანამშრომლები, ისინი საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. პროგრამის აღწერა და სასწავლო გეგმა
2. უნივერსიტეტის მისია
3. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის წესდება
4. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის 2018– 2024 წწ. სტრატეგია
5. პოტენციურ დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფის ანგარიში
6. კინომცოდნეობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების აკრედიტაციის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები
7. პროგრამის გარე შეფასების დოკუმენტი
8. გასაუბრებების შედეგები ადგილზე ვიზიტის დროს
9. თვითშეფასების ანგარიში
10. უნივერსიტეტის ვებგვერდი <https://iliauni.edu.ge/ge>

11. მუსიკის პროგრამის ვებგვერდი
<https://iliauni.edu.ge/en/iliauni/AcademicDepartments/mecnierebata-da-xelovnebis-fakulteti-269/programebi-303/mecnierebata-da-xelovnebis-fakultetis-sabakalavro-programebi/ertiani-migebit/musika>

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა) რეკომენდაციები:

- 1) რეკომენდებულია კვალიფიკაციის სათაურის გასწორება ინგლისურ ენაზე შემდეგნაირად: “Bachelor of Film Studies”.

პროგრამა 3 (კინომცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა) რეკომენდაციები:

- 1) რეკომენდებულია კვალიფიკაციის სათაურის გასწორება ინგლისურ ენაზე შემდეგნაირად: “Master of Film Studies”.

შეფასება⁶

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები | შესაბამისო ბაშია მოთხოვნე ბთან | მეტწილად შესაბამის ობაშია მოთხოვნე ბთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|---|---|--|---|
| პროგრამა 1 (კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა) | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (მუსიკის (ძირითადი და დამატებითი) | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

⁶ შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

| საბაკალავრო პროგრამა) | | | | |
|--|-------------------------------------|-------------------------------------|--------------------------|--------------------------|
| პროგრამა 3 (კინომცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა) | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 4 (ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში, სამაგისტრო პროგრამა) | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ზოგადად, მოწოდებულმა დოკუმენტაციამ (მაგ. მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა), ასევე ადგილზე ვიზიტის დროს გასაუბრებების შედეგებმა დაადასტურა, რომ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია კვალიფიკაციის მოცემული დონის მიხედვით, შეესაბამება პროგრამების მიზნებს და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღწერას. კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო პროგრამების სწავლის შედეგები დაკავშირებულია ძირითადი დარგის ცოდნასთან, ხოლო სამაგისტრო პროგრამები ორიენტირებულია დარგის საკითხების სიღრმისეულ ცოდნასა და კვლევის უნარების განვითარებაზე. როგორც ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა, სწავლის შედეგების შემუშავებისას გამოყენებული იქნა სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და ა.შ. გამოკითხვების შედეგები.

აღწერა და ანალიზი

პროგრამა 1 (კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა)

პროგრამა 1- ის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია „კინომცოდნეობის ბაკალავრის“ კვალიფიკაციის შესაბამისად, შეესაბამება პროგრამის მიზნებს, მოიცავს შინაარსზე დაფუძნებულ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას და შეესაბამება კვალიფიკაციების ჩარჩოს ბაკალავრიატის დონეს.

სწავლის შედეგები ასახავს ბაკალავრიატის საფეხურზე კინომცოდნეობის სწავლების შესაბამის ცოდნას და უნარებს. პროგრამა ითვალისწინებს ისეთი კომპეტენციების განვითარებას, როგორცაა ქართული და მსოფლიო კინოს ისტორიისა და განვითარების ეტაპების შესწავლა სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით (ისტორიული, პოლიტიკური, კულტურული, სოციალური, ეკონომიკური და ა.შ.). პროგრამა ასევე მოიცავს კურსებს კინოკრიტიკის თეორიასა და პრაქტიკაში, აკადემიური მუშაობის ტექნიკასა და კრიტიკულ წერაში, რომლებიც ავითარებს სტუდენტის უნარს წეროს კრიტიკულად კინოს შესახებ. ამასთან, სწავლის შედეგები

ითვალისწინებს ისეთი ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორცაა მოსაზრებების და არგუმენტების მკაფიოდ და თანმიმდევრულად ჩამოყალიბება წერილობით და ზეპირად, ეთიკური ნორმების, სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და შემწყნარებლობის პრინციპების დაცვით; უწყვეტ განათლებასთან დაკავშირებული კომპეტენციები და მრავალფეროვნების, როგორც ღირებულების პატივისცემა.

სწავლის შედეგები არის გაზომვადი, რეალისტური, მიღწევადი და ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის მიზნებს, რაც დასტურდება პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკით. სასწავლო კურსებისა და პროგრამის სტრუქტურაში შემავალი თემების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შედეგებისა და კომპეტენციების რუკით.

აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრებებმა დაადასტურა, რომ ისინი ჩართულნი იყვნენ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში. დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამა ორიენტირებულია თანამედროვე, კონკურენტუნარიანი, ინტელექტუალური, კვალიფიციური კურსდამთავრებულის აღზრდაზე და რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროების მოთხოვნებს.

პროგრამის სწავლის შედეგები იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე გაგრძელების და ცოდნის გაფართოების შესაძლებლობას.

პროგრამა 2 (მუსიკის (მირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა)

პროგრამა 2- ის სწავლის შედეგები რეალისტური და მისაღწევია სწავლის პერიოდში და შეესაბამება პროგრამის მიზნებს. სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია „მუსიკალური ხელოვნების ბაკალავრის“ კვალიფიკაციის შესაბამისად, შეესაბამება პროგრამის მიზნებს, მოიცავს შინაარსზე დაფუძნებულ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას და შეესაბამება კვალიფიკაციების ჩარჩოს ბაკალავრიატის დონეს. სწავლის შედეგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1. ზოგადი სწავლის შედეგები, რომლებიც მიიღწევა ზოგადი მუსიკის მოდულის შესწავლის შემდეგ;
2. ელექტროაკუსტიკური კომპოზიციის მოდულის სწავლის შედეგები;
3. საშემსრულებლო ხელოვნების მოდულის სწავლის შედეგები;
4. ტრანსფერული სწავლის შედეგები - საერთოა მთელი პროგრამისთვის.

სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის მიზნებს, რაც აშკარად ჩანს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკაში, ამ ანგარიშის 1.1 ქვესტანდარტში ჩამოთვლილ სასწავლო სფეროს სპეციფიკას და შეესაბამება მუსიკალური განათლების მიმართულებას (ელექტროაკუსტიკური კომპოზიცია, საშემსრულებლო ხელოვნება). ბლოკების/ მოდულების, სასწავლო კურსების და პროგრამის სტრუქტურაში შემავალი თემების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შედეგებისა და კომპეტენციების რუკით, თუმცა, ისინი არ მიუთითებენ მიღწევის დონეს თითოეული სავალდებულო კვლევისთვის (1 – შესავალი, 2 – გაღრმავება, 3 – გაძლიერება).

პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის MES 4 23 0000384171 05.04.2023 ბრძანებით დამტკიცებული „მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დებულების“ მოთხოვნებს.

პროგრამა 3 (კინომცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამა 3- ის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია მისანიჭებელი კვალიფიკაციის „კინომცოდნეობის მაგისტრი“ შესაბამისად, შეესაბამება პროგრამის მიზნებს, მოიცავს შინაარსზე დაფუძნებულ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას და შეესაბამება კვალიფიკაციების ჩარჩოს მაგისტრატურის დონეს.

პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს მაგისტრატურის საფეხურზე კინომცოდნეობის

სწავლების შესაბამის ცოდნას და უნარებს. კერძოდ, პროგრამა ითვალისწინებს ისეთი კომპეტენციების განვითარებას, როგორცაა სისტემური ცოდნა კინომცოდნეობის სფეროში მიმდინარე სამეცნიერო დისკუსიის შესახებ; კინოს ენის, მისი ესთეტიკური მხარისა და კინოკრიტიკის თანამედროვე ასპექტების ცოდნა; ქართული კინოს სპეციფიკისა და მნიშვნელობის განხილვა მსოფლიო კინემატოგრაფიის კონტექსტში და მის ინტერდისციპლინურ პერსპექტივაზე მსჯელობა (პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ კონტექსტში); თანამედროვე კინოს პრობლემებზე კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი შესაბამისი მეთოდების, კონცეპტუალური მიდგომების გამოყენებით, მულტიდისციპლინური კვლევის ეთიკის პრინციპების დაცვით.

პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადი, რეალისტური და მიღწევადია. ისინი ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის მიზნებს, რასაც მოწმობს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა. სასწავლო კურსებისა და პროგრამის სტრუქტურაში შემავალი თემების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შედეგებისა და კომპეტენციების რუკით.

დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებამ დაადასტურა, რომ აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები ჩართულნი იყვნენ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში. დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამა ორიენტირებულია თანამედროვე, კონკურენტუნარიანი, ინტელექტუალური, კვალიფიციური კურსდამთავრებულის აღზრდაზე და პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროების მოთხოვნებს.

პროგრამა 4 (ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში, სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამა 4- ის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციებს „1. თეატრის რეჟისურის მაგისტრი“ და „2. მაგისტრი სამსახიობო ხელოვნებაში“, შეესაბამება პროგრამის მიზნებს და კვალიფიკაციების ჩარჩოს სამაგისტრო დონეს. სწავლის შედეგებია:

- თეატრალური ხელოვნების განვითარების გზების ღრმა და სისტემატური ცოდნა: თეორიები და მეთოდები, ფორმები და მიმართულებები, კლასიკური და თანამედროვე მიდგომები, ლიტერატურული და ეფექტური ანალიზი,
- თეატრალური პროდუქტის შექმნის უნარი პროფესიონალურ გარემოში, რეჟისორთან და მსახიობებთან თანამშრომლობით,
- კრიტიკული აზროვნების, ანალიტიკური წერის, კომუნიკაციის კომპლექსური უნარები,
- საკუთარი და სხვების შემოქმედებითი უნარების შეფასების და შემოქმედებითი ჯგუფის შესაძლებლობების ადეკვატურად გამოყენების უნარი,
- პროფესიონალური ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის უნარი.

სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის მიზნებს და არის გაზომვადი, რეალისტური და მიღწევადი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. პროგრამის აღწერა და სასწავლო გეგმა
2. კინომცოდნეობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების აკრედიტაციის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები
3. კინომცოდნეობის მიმართულებით დასაქმების ბაზრის კვლევის ანგარიში
4. პროგრამების მიზნების და სწავლის შედეგების რუკა
5. პროგრამების შედეგების და კომპეტენციების რუკა
6. პროგრამების მახასიათებლები
7. მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დებულება
8. პოტენციურ დამსაქმებლებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების ანგარიშები
9. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების გამოკითხვის ანგარიშები
10. პროგრამების გარე შეფასება დარგის ექსპერტის მიერ

11. კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და უწყვეტი განათლების სტატისტიკა
12. გასაუბრებების შედეგები ადგილზე ვიზიტის დროს
13. თვითშეფასების ანგარიში

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | შესაბამისო ბაშია მოთხოვნი ბთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნიბთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნიბთან | არ არის შესაბამისობაში ო მოთხოვნიბთან |
|--|---|---|--|--|
| პროგრამა 1 (კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (მუსიკის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 3 (კინომცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 4 (ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში, სამაგისტრო პროგრამა) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერის შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის შედეგების შეფასება ეფუძნება პროგრამის შეფასების შიდა თვითშეფასების მექანიზმს, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და გარე შემფასებლები, პროგრამების ხელმძღვანელები, სამუშაო ჯგუფები და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია) ჩართულობას შიდა თვითშეფასების პროცესში.

პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება ეფუძნება სამიზნე ნიშნულებს. სწავლის შედეგების შეფასებისთვის, საგანმანათლებლო პროგრამის აღწერაში მოცემულია სწავლის შედეგების შეფასების რუკა, რომელიც აღწერს შეფასების პირდაპირ მეთოდს: რუკა განსაზღვრავს შეფასების კონკრეტულ მეთოდებს და ადგენს კონკრეტულ მახასიათებლებს თითოეული სწავლის შედეგისთვის. ის ასევე ადგენს მონაცემთა შეგროვების ვადას.

სწავლის შედეგის არაპირდაპირი შეფასება ეფუძნება:

- სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას,
- სტუდენტების გამოკითხვის შედეგებს პროგრამაში შემავალი კურსების შესახებ ყოველ სემესტრში,
- გარკვეულ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას,
- პროგრამის შესახებ დამსაქმებლების უკუკავშირს,
- პროგრამების გარე შეფასებას,
- სტუდენტების გამოკითხვას სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით და
- ბოლო სემესტრის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგებს.

პროგრამების თვითშეფასების მიზნით უნივერსიტეტმა ჩაატარა რამდენიმე აქტივობა, კერძოდ: სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი, სტუდენტების სემესტრული გამოკითხვა კურსების შესახებ, დასკვნითი სემესტრის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა პროგრამების შესახებ, დამსაქმებლის ფოკუს ჯგუფის ანალიზი, კოლეგიალური გარე შეფასება (გარე დაკვირვება) და პერსონალის შეფასება.

სწავლის შედეგების შეფასების პროცესის დასრულების შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამაში შეაქვთ ცვლილებები. გადახედვისა და ცვლილების საფუძველი შეიძლება იყოს შემდეგი: პროგრამის შიდა და გარე ხარისხის მექანიზმებით სისტემური შეფასებების შედეგები, სტუდენტების, კურსდამთავრებულების ან სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი, პროგრამით კმაყოფილების გამოკითხვის კითხვარები და ა.შ. პროგრამაში შემოთავაზებულ ცვლილებებსა და მოდიფიკაციებს განიხილავენ პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამაში ჩართული პერსონალი, ფაკულტეტის/ სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და სხვა დაინტერესებული მხარეები. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ უსდ უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის შესახებ. გადაწყვეტილება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნასთან ერთად გადაეცემა ფაკულტეტის/ სკოლის საბჭოს შემდგომი განხილვისთვის, და, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ცვლილების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და შესაბამისი ცვლილების განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა სტრუქტურულ ერთეულს. იმ შემთხვევაში, თუ ცვლილება ეხება პროგრამის სწავლის შედეგებს და მისანიჭებელ ხარისხს, ფაკულტეტის/ სკოლის საბჭოს გადაწყვეტილება

წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. პროგრამაში ცვლილებების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და წარუდგენს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. პროგრამების აღწერა, სასწავლო გეგმა და სილაბუსები
2. პროგრამების მიზნები, სწავლის შედეგები და მიზნობრივი მახასიათებლის რუკები
3. უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმები
4. უნივერსიტეტში პროგრამის განხორციელების წესები
5. სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, აკადემიური / მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის/შეფასების შედეგები
6. გასაუბრებების შედეგები ადგილზე ვიზიტის დროს
7. თვითშეფასების ანგარიში

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის ზოგადი რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | შესაბამისო ბაშია მოთხოვნი ბთან | მეტწილა დ შესაბამის ობაშია მოთხოვნი ბთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნიბთა ნ | არ არის შესაბამისობაში ი მოთხოვნიბთა ნ |
|--|---|---|--|--|
| პროგრამა 1 (კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (მუსიკის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

| | | | | |
|--|---|--------------------------|--------------------------|--------------------------|
| პროგრამა) | | | | |
| პროგრამა 3 (კინომცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 4 (ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში, სამაგისტრო პროგრამა) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მოწოდებული დოკუმენტების თანახმად და საიტის დათვალიერების შედეგად - კლასტერული პროგრამების სტრუქტურა თანმიმდევრული, ლოგიკურია და იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას. პროგრამები შემუშავდა უნივერსიტეტში ამჟამად მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებისა და გაუქმების წესებისა და პროცედურების“ მიხედვით; ასევე, მათი სტრუქტურა აწყობილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS კრედიტების სისტემის გამოყენებით. საბაკალავრო პროგრამების მოცულობა შეადგენს 240 კრედიტს, საიდანაც 120 კრედიტი ეთმობა ძირითად სპეციალობას; თავისუფალი კომპონენტები მოიცავს ზოგად მოდულს (60 კრედიტი), ხოლო დამატებითი სპეციალობის/თავისუფალ კომპონენტისათვის განსაზღვრულია 60 კრედიტი; პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი (8 სემესტრი). სამაგისტრო პროგრამების მოცულობა 120 კრედიტია, ხოლო ხანგრძლივობა 2 წელი (4 სემესტრი).

აღწერა და ანალიზი

პროგრამა 1 (კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა)

პროგრამა 1 სტრუქტურა, მოცულობა და სირთულე ითვალისწინებს სწავლის საფეხურს. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი) და მოიცავს 240 კრედიტს. პროგრამის სტრუქტურული დიზაინი კრედიტებში ასე გამოიყურება: ზოგადი მოდული – 60 ECTS; ძირითადი სპეციალობა – 120 ECTS; დამატებითი სპეციალობა/თავისუფალი კომპონენტი – 60 ECTS.

პირველ და მეორე სემესტრებში სტუდენტები ძირითადად გადიან ზოგადი მოდულის კურსებს, რომლებიც ორიენტირებულია ტრანსფერული უნარების განვითარებაზე. პროგრამის ძირითადი დისციპლინების შესწავლას ისინი იწყებენ მეორე სემესტრიდან. მესამე სემესტრის ბოლოს სტუდენტებს საშუალება აქვთ აირჩიონ დამატებითი სპეციალობა (Minor) ან საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე გაიარონ მათთვის საინტერესო კურსები თავისუფალი კრედიტების ფარგლებში. თითოეული

სასწავლო კურსი ბაკალავრიატის სტუდენტს აძლევს ცოდნის შეძენის, გაფართოებისა და განვითარების შესაძლებლობას. სტუდენტი იძენს თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს, ეუფლება კრიტიკულ წერასა და ანალიტიკურ ზეპირ მსჯელობას, ეცნობა დებატების ხელოვნებას, კინომცოდნეობის შესწავლის მიდგომებსა და მიმართულებებს. შეძენილი თეორიული ცოდნისა და ანალიტიკური უნარების დემონსტრირება ხდება დასკვნით პროექტში - საბაკალავრო ნაშრომში.

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი. სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსების მოცულობა (120 ECTS) მოიცავს შემდეგს: ძირითადი კურსები – 66 ECTS, სავალდებულო-არჩევითი – 48 ECTS, არჩევითი კურსი – 6 ECTS. სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით, პროგრამაში ძირითადი სასწავლო დარგის შინაარსის შესაბამისი კურსები/საგნები/მოდულები წარმოდგენილი უნდა იყოს არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით. ვინაიდან პროგრამის მიერ მინიჭებული კვალიფიკაცია არის „კინომცოდნეობის ბაკალავრი“, შესაბამისად, 120 კრედიტი უნდა მოიცავდეს კურსებს კინომცოდნეობის მიმართულებით და რადგან არჩევითი ჯგუფიდან შემოთავაზებული სასწავლო კურსების „შესავალი კულტურათმცოდნეობაში“ და „ვიზუალური ხელოვნებისა და კვლევის ინტერპრეტაციის მეთოდები“ შინაარსი არ არის დაკავშირებული სწავლის ძირითად სფეროსთან, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა სრულად განსაზღვრავს 120 კრედიტს ძირითადი სასწავლო სფეროდან.

პროგრამის მიზნები განსაზღვრავს, რომ კურსდამთავრებული სტუდენტი მიიღებს ცოდნას „ქართული და მსოფლიო კინოს ისტორიის, მისი განვითარების ეტაპებისა და ჟანრების (მხატვრული (მუნჯი და ხმოვანი) კინო, დოკუმენტური კინო, ანიმაციური კინო) შესახებ“. თუმცა, ის არ ემთხვევა პროგრამის შინაარსს: ჯერ ერთი, პროგრამა არ მოიცავს სასწავლო კურსს ანიმაციური კინოს შესახებ; მეორეც, სასწავლო კურსები „დოკუმენტური კინოს ისტორია 1“ და „დოკუმენტური კინოს ისტორია 2“ წარმოდგენილია სავალდებულო-არჩევითი კურსების ბლოკში, რაც საფრთხეს უქმნის პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას თუ სტუდენტი არ აირჩევს აღნიშნული სასწავლო კურსებს. ამ დაკვირვების გათვალისწინებით, რეკომენდებულია ანიმაციური კინოს კურსის მომზადება ან შესაბამისი თემის ასახვა კურსში „მსოფლიო კინოს ისტორია“. ასევე, რეკომენდებულია სასწავლო კურსების „დოკუმენტური კინოს ისტორია 1“ და „დოკუმენტური კინოს ისტორია 2“ გადატანა ძირითადი კურსების ბლოკში.

პროგრამის სასწავლო გეგმის თანახმად, სასწავლო კურსების „მსოფლიო კინოს ისტორია 1“ („კინოს დაბადების“, „მუნჯი კინოს“ და „ხმა კინოში“ წინაპირობები) და „კინოკრიტიკის თეორია და პრაქტიკა 1 (მუნჯი კინოს ესთეტიკა)“-ის სწავლება განთავსებულია და ისწავლება სხვადასხვა სემესტრში. რეკომენდებულია აღნიშნული კურსების ერთდროულად ჩატარება, რადგან სასწავლო კურსით „მსოფლიო კინოს ისტორია 1“ განსაზღვრული კინოპროცესების გაცნობა და ანალიზი სტუდენტებს გაუადვილებს მუნჯი კინოს ესთეტიკის აღქმას, ფილმისა და კინოს სხვადასხვა თეორიების გაგებას, კინოხელოვნების დანიშნულების, ბუნებისა და გამოხატულების შესწავლას სასწავლო კურსში „კინოკრიტიკის თეორია და პრაქტიკა 1“, მისი ჩანაფიქრის შესაბამისად.

პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიხედვით, კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს ფილმის კრიტიკულად შეფასება. ამრიგად, მომავალი კინო-ექსპერტისთვის აუცილებელია შეისწავლოს და გაიგოს კინოში მხატვრობის მიზანი, ანუ კინემატოგრაფია და ვიზუალური თხრობა, კინომხატვრის შემოქმედების პრინციპები და თავისებურებები, ვიზუალური მიმართულებით ფილმზე მუშაობის სპეციფიკა. ამისათვის მიზანშეწონილია სტუდენტებისათვის სასწავლო კურსის „კინემატოგრაფია“ შეთავაზება.

პროგრამა 2 (მუსიკის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა)

თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ კლასტერში დაჯგუფებული განახლებული პროგრამები გარე შეფასებისთვის გაეგზავნა დარგის ექსპერტებს. "კინომცოდნეობის" და "ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაშის" საბაკალავრო

და სამაგისტრო პროგრამებისაგან განსხვავებით არ არსებობს "მუსიკის" საბაკალავრო პროგრამის გარე შეფასების შესახებ მტკიცებულება, "მუსიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" სასწავლო გეგმის აღწერით ნაწილში.

წარმოდგენილი მასალების შესწავლა აჩვენებს, რომ მე-3 პროგრამის სტრუქტურა შეესაბამება განათლების საფეხურს და აწყობილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ECTS კრედიტების სისტემის გამოყენებით. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი ანუ 8 სემესტრი და მოიცავს 240 კრედიტს. პროგრამების პირველ და მეორე სემესტრებში სტუდენტები ძირითადად გადიან ზოგადი მოდულის კურსებს, რომლებიც ორიენტირებულია აკადემიურ გარემოში ნავიგაციისთვის საჭირო ტრანსფერული უნარების განვითარებაზე. პირველი სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან, ზოგად მოდულთან ერთად, მუსიკის პროგრამის სტუდენტებმა უნდა გაიარონ შემდეგი კურსები „მუსიკის თეორია პრაქტიკაში 1“ და „მუსიკის ისტორია 1 (ძველ დროიდან რომანტიზმამდე)“. 240 ECTS-იანი პროგრამა მოიცავს:

- 1 ზოგად მოდულს – 60 ECTS (კერძოდ: "შესავალს თანამედროვე აზროვნებაში 1, 2" – 12 ECTS; "აკადემიური მუშაობის ტექნიკას" – 6 ECTS; "სტატისტიკას" – 6 ECTS, პრაქტიკულ კურსებს ინგლისურ ენაში – 24 ECTS და შესავალ კურსებს კოდით INTRO - 12 ECTS).
- 1 ძირითადი სპეციალობის კურსების მოცულობა შეადგენს 120 ECTS-ს, მათ შორის პროგრამის სავალდებულო კურსებისა – 18 ECTS. ელექტროაკუსტიკური და კომპიუტერული მუსიკის კურსებზე ფოკუსირების შემთხვევაში სტუდენტმა უნდა გაიაროს სავალდებულო კურსები – 54 ECTS, და სავალდებულო-არჩევითი კურსები – 24 ECTS. მუსიკალურ შესრულებაზე ფოკუსირების შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია შეისწავლოს: სავალდებულო კურსების ბლოკის – 18 ECTS, ხოლო სავალდებულო-არჩევითი ბლოკის – 54 ECTS. პროგრამის არჩევითი კურსები – მინიმუმ 24-დან მაქსიმუმ 36 ECTS-მდე (კრედიტების რაოდენობა დამოკიდებულია სტუდენტის მიერ არჩეულ სპეციალობაზე), ხოლო
- 2 თავისუფალი კომპონენტები ან დამატებითი სპეციალობის პროგრამა – 60 ECTS-ია.

ექსპერტთა ჯგუფს სურს აღნიშნოს პრობლემური ეჭვი, რომელიც წარმოიქმნება საშემსრულებლო ბლოკის კომპონენტებში სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით - ეს ეხება კლასიკურ ფორტეპიანოსა და კლავესინს. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, მიზანშეწონილია ჯაზის სპეციალობის შენარჩუნება მხოლოდ მუსიკალური შესრულების მიმართულებით, ხოლო კლავიატურის ხელოვნების/კლასიკური ფორტეპიანოს და ბაროკოს ინსტრუმენტების/კლავესინის საგნები უნდა გადავიდეს არჩევით ბლოკში. მოსაზრება ემყარება კლასიკური ფორტეპიანოსა და ბაროკოს კლავესინის სპეციალობების დაუსაბუთებელ საჭიროებას. ამ სპეციალობებზე მოთხოვნა არ იყო დამაჯერებელი. ასევე, პროგრამის სასწავლო გეგმის, სილაბუსების და სხვა დოკუმენტაციის ანალიზი იძლევა იმის მტკიცების შესაძლებლობას, რომ სასწავლო მასალა (მაგ. მუსიკალური რეპერტუარი) კლასიკურ ფორტეპიანოსა და კლავესინის სპეციალობებში არის არარელევანტური და არარეალური სწავლის შედეგების მისაღწევად სტუდენტებისათვის, რომლებიც აირჩევენ კლასიკურ პიანინოს ან კლავესინის სპეციალობას. ანუ, სასწავლო კურსების მიმდინარე დატვირთვისა და წინაპირობის პირობებში შეუძლებელია იმ შედეგის მიღწევა, რაც აღწერილია სილაბუსში (მაგალითად, სასწავლო კურსებში „ფორტეპიანოს ხელოვნება 4“ და „კლავესინზე დაკვრის ხელოვნება 1 (საფუძვლები)“ მუსიკალური მასალის შესრულება და სწავლის შედეგების მიღწევა არარეალურია). ამიტომ, კლავიატურის/კლასიკური ფორტეპიანოსა და ბაროკოს ინსტრუმენტების/კლავესინის სწავლების არჩევით ბლოკში გადატანის შედეგად საჭიროა პროგრამის სწავლის შედეგების კორექტირება.

პროგრამა 3 (კინომცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა)

მესამე პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი, ანუ 4 სემესტრი და მოიცავს 120 ECTS: ძირითადი კურსები – 54 ECTS; სავალდებულო-არჩევითი კურსები – 30 ECTS; არჩევითი კურსები – 6 ECTS; სამაგისტრო ნაშრომი – 30 ECTS.

პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პირველი სამი სემესტრი სტუდენტები გადიან სასწავლო კურსებს, ხოლო მეოთხე სემესტრი ეთმობა სამაგისტრო კვლევით მუშაობას. სავალდებულო-არჩევითი და არჩევითი კურსები ავსებს ძირითადი კურსების შინაარსს და სთავაზობს სტუდენტებს მათთვის საინტერესო თემების უფრო ფართოდ შესწავლას. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შეესაბამება მინიჭებულ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, მაგისტრანტში პროფესიული უნარების განვითარებას და კვლევით-ანალიტიკური კინო მეცნიერის აღზრდას. თითოეული სასწავლო კურსი მაგისტრანტს აძლევს შესაძლებლობას შეიძინოს, გააფართოოს ცოდნა და განვითარდეს.

პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს ყველა ძირითად და მნიშვნელოვან კომპონენტს. პროგრამის ძირითადი და სავალდებულო-არჩევითი კურსები შედის ერთიან სისტემაში, ავსებენ და აძლიერებენ ერთმანეთს. ასეთი მიდგომა ეხმარება მაგისტრანტებს გააფართოონ და გააღრმავონ თავიანთი ცოდნა, ინფორმირებულობა და ანალიტიკური უნარები.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კინომცოდნეობის როგორც სამაგისტრო, ისე საბაკალავრო პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსის „კრიტიკული წერა“ მიზანი და სწავლის შედეგები ერთნაირადაა ჩამოყალიბებული. რეკომენდებულია, რომ სასწავლო კურსი, რომელიც ავითარებს კრიტიკული შეფასების უნარებს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის დონეზე, შეთავაზებულ იქნას განსხვავებული სახელწოდებით, დანიშნულებით, სწავლის შედეგებით, თემებითა და სასწავლო რესურსებით.

პროგრამა 4 (ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში, სამაგისტრო პროგრამა)

მე-4 პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი ანუ 4 სემესტრი და მოიცავს 120 ECTS: ზოგადი ბლოკი - თეატრალური სახელოსნო - 51 ECTS, რეჟისორების ბლოკი - 27 ECTS, მსახიობების ბლოკი - 27 ECTS, ზოგადი / საერთო არჩევითი ბლოკი - 12 ECTS და სადიპლომო სპექტაკლი / სადიპლომო თამაში - 30 ECTS. პროგრამა შედგება საერთო კურსების ბლოკისგან და ორი ცალკეული ბლოკისგან/მოდულისგან, რომლებიც ორიენტირებულია მსახიობებსა და რეჟისორებზე. პირველი სამი სემესტრის განმავლობაში თეორიული და პრაქტიკული კურსების ოდენობა თანაბარია; 3 სემესტრის წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტი მე-4 სემესტრის განმავლობაში მუშაობს სადიპლომო სპექტაკლზე.

ექსპერტთა ჯგუფს სურს აღნიშნოს პროგრამის კატალოგში შეტანილი კურსების განსაკუთრებით დიდი რაოდენობა, რაც 2-წლიან (უფრო ზუსტად, პირველ სამ სემესტრიან) სწავლას უადრესად ინტენსიურს ხდის სხვადასხვა შინაარსით. ამის გაგება შესაძლებელია, რადგან პროგრამა იღებს აბიტურიენტებს სამსახიობო და სარეჟისორო გამოცდილების/განათლების გარეშე და, შესაბამისად, პროგრამის შინაარსი შექმნილია სხვადასხვა საგნებით, რომელთაგან ზოგიერთი კურსი უფრო შესაფერისი იქნება საბაკალავრო დონისათვის. ერთის მხრივ, სხვადასხვა კურსების ასეთი ფართო ჩამონათვალი აძლევს სტუდენტებს უკიდურესად ფართო ცოდნის მიღების შესაძლებლობას. თუმცა, ექსპერტებმა შეიძლება გამოთქვან მოსაზრება, რომ არსებობს რისკი იმისა შეძლების თუ არა სტუდენტი სასწავლო საგნის გაცნობას ძალიან პროფესიონალურად და ღრმად, და არა მხოლოდ ზედაპირულად. სასარგებლო იქნება კურსის შინაარსის კრიტიკულად გადახედვა და, ალბათ, ზოგიერთი საგნის ამოღება, ან უნივერსიტეტს შეუძლია განიხილოს ერთწლიანი მოსამზადებელი (ამანაზღაურებელი) სწავლების ორგანიზება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. პროგრამების აღწერილობა, კურიკულუმი და სილაბუსები
2. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა
3. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებისა და შეჩერების წესები და პროცედურები
4. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმები

5. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების გამოკითხვა
6. ინტერვიუს შედეგები ადგილზე ვიზიტის მსვლელობაში
7. თვითშეფასების ანგარიში
8. უნივერსიტეტის ვებგვერდი <https://iliauni.edu.ge>

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის ზოგადი რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა) რეკომენდაციები(ებია):

1. რეკომენდებულია, პროგრამაში განისაზღვროს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით, პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის - „კინომცოდნეობის ბაკალავრის“ შესაბამისად.
2. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნების შესაბამისად, მომზადდეს სასწავლო კურსი ანიმაციური კინოს შესახებ ან აისახოს შესაბამისი თემატიკა მსოფლიო კინოს ისტორიის სასწავლო კურსში.
3. რეკომენდებულია, სასწავლო კურსები: „დოკუმენტური კინოს ისტორია 1“ და „დოკუმენტური კინოს ისტორია 2“ სავალდებულო-არჩევითი კურსების ბლოკიდან გადავიდეს სავალდებულო კურსების ბლოკში, რათა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები იყოს მიღწევადი.
4. მიზანშეწონილია, სასწავლო კურსები: „მსოფლიო კინოს ისტორია 1 (კინოს დაბადების წინაპირობები, უხმო კინო, ხმა კინოში)“ და „კინოკრიტიკის თეორია და პრაქტიკა 1 (უხმო კინოს ესთეტიკა)“ შეისწავლებოდეს პარალელურად, ვინაიდან „მსოფლიო კინოს ისტორია 1“-ით განსაზღვრული კინოპროცესების გაცნობა და გაანალიზება სტუდენტს გაუადვილებს უხმო კინოს ესთეტიკის აღქმას, სხვადასხვა კინოთეორიების გააზრებას, კინოხელოვნების ბუნების, გამომსახველობის თუ დანიშნულების შესწავლას - „კინოკრიტიკის თეორია და პრაქტიკა 1“-ის მიზნის შესაბამისად.

რჩევები:

- 1) იმისთვის, რომ კურსდამთავრებულებმა შეძლონ ფილმების კრიტიკული შეფასება, აუცილებელია, რომ მათ ჰქონდეთ კინოში მხატვრობის როლისა და დანიშნულების ყოვლისმომცველი გაგება, ანუ კინემატოგრაფია, ვიზუალური თხრობა. ამიტომ

სასურველია პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი „კინემატოგრაფია“.

პროგრამა 2 (მუსიკის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- 1) რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურის შეცვლა – კლასიკური ფორტეპიანოსა და ბაროკოს კლავესინის მომზადების კურსებისა და სპეციალობის ბლოკების სტატუსის შეცვლა, ძირითადი დარგის სასწავლო საგნებიდან არჩევითი საგნების ბლოკში გადატანა. გარდა ამისა, საჭიროა სწავლის შედეგების გადახედვაც.

პროგრამა 3 (კინომცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- 1) რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „კრიტიკული წერა“ საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე წარმოდგენილი იყოს განსხვავებული სახელწოდებით, მიზნით, სწავლის შედეგებით, თემატიკით და სასწავლო რესურსით.

პროგრამა 4 (ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში, სამაგისტრო პროგრამა)

რჩევ(ებ)ი:

- 1) პროგრამის კატალოგში შესული კურსების განსაკუთრებით დიდი რაოდენობის გამო, სადაც ზოგიერთი კურსი უფრო ბაკალავრიატის საფეხურისთვისაა შესაფერისი, სასურველია კურსის შინაარსის კრიტიკულად გადახედვა და, სავარაუდოდ, ზოგიერთი საგნის ამოღება, ან უნივერსიტეტმა შეიძლება განიხილოს ერთწლიანი მოსამზადებელი (საკომპენსაციო) სწავლის ორგანიზება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | შესაბამისო ბაშია მოთხოვნე ბთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში ო მოთხოვნებთან |
|---|---|---|--|--|
| პროგრამა 1 (კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა) | <input type="checkbox"/> | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (მუსიკის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა) | <input type="checkbox"/> | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 3 (კინომცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა) | <input type="checkbox"/> | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

| | | | | |
|--|---|--------------------------|--------------------------|--------------------------|
| პროგრამა 4 (ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში, სამაგისტრო პროგრამა) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
|--|---|--------------------------|--------------------------|--------------------------|

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ადგილზე ვიზიტის დროს ინტერვიუების შედეგად და მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ თითოეული კლასტერული პროგრამის კურსის/კომპონენტის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკასა და სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო სილაბუსებში გამოყენებულია უახლესი ლიტერატურა და სასწავლო რესურსები. თუმცა, ადგილზე ვიზიტის დროს, პროგრამის ხელმძღვანელებმა და სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია დარგის შესაბამისი უცხოენოვანი ლიტერატურის თარგმანების არსებობა; უფრო მეტიც, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საუბრობენ ინგლისურად, აუცილებელია ხელმისაწვდომი იყოს საჭირო კინოლიტერატურა ქართულ ენაზე. ამიტომ, რეკომენდებულია სილაბუსებში განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურის განახლება ან რიდერების მომზადება, რათა ისინი შეესაბამებოდეს მიმართულების/დარგის თანამედროვე მიღწევებს და უახლეს კვლევებს.

კლასტერში დაჯგუფებული ყველა საგანმანათლებლო პროგრამის კომპეტენციების რუკაზე „X“ ნიშნით აღინიშნება სასწავლო კურსები, რომლებიც ემსახურება გარკვეული სწავლის შედეგის მიღწევას; თუმცა, არ არსებობს იდენტიფიკაცია, არის თუ არა იგი გაცნობის, გაღრმავების თუ განმტკიცების სასწავლო კურსი. ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფი გვთავაზობს სწავლის შედეგის მიღწევის დონის განსაზღვრას თითოეული სავალდებულო სასწავლო კურსისთვის (მაგ., ნომერი 1 მიუთითებს გაცნობას, 2 – გაღრმავებას, 3 – განმტკიცებას).

აღწერა და ანალიზი

პროგრამა 1 (კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა)

პირველ პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსების მოცულობა შეადგენს 6 კრედიტს, სხვადასხვა საკონტაქტო საათებით, რომელსაც განსაზღვრავს სასწავლო კურსის ლექტორი სასწავლო კურსის სპეციფიკის, შინაარსისა და მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკას. საკონტაქტო

საათების რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია მათში განსაზღვრული თემების გათვალისწინებით. თითოეული კურსის ფარგლებში მითითებული სწავლის შედეგი ფასდება შეფასების სისტემაში განსაზღვრული კომპონენტებისა და კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც აღწერილია სილაბუსებში.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსები შეესაბამება სასწავლო კურსებში წარმოდგენილ თემებს და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამა 2 (მუსიკის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა)

მე-2 პროგრამის ძირითადად სასწავლო კურსები, კომპონენტები, თავიანთი სიღრმისა და სირთულის მიხედვით შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს (ბაკალავრის ხარისხს). კრედიტების მოცულობა პრაქტიკულ და თეორიულ კურსებში ერთნაირია, უდრის 6 (ე.ი. 50 ასტრონომიულ საათს) და უნივერსიტეტის პოლიტიკისა და სასწავლო კომპონენტებს შორის კრედიტების განაწილების შესაბამისია. თუმცა აღნიშნული მიდგომა არ მუშაობს კომპონენტებთან მიმართებაში, პრაქტიკულ-საშემსრულებლო უნარების გამომუშავებაში. მაგალითად, საეჭვოა, რომ სასწავლო კურსებს „მუსიკის თეორია პრაქტიკაში“ და „კლავესინზე დაკვრის ხელოვნება 1 (საფუძვლები)“, ასევე „ფორტეპიანოს ხელოვნება 6: შესრულების პროექტი“ ჰქონდეს ერთი და იგივე რაოდენობის კრედიტები. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ კურსებს განსხვავებული შეფასების ფორმა აქვთ. საშემსრულებლო კურსის შეფასების კრიტერიუმი არის დასკვნითი გამოცდა (საჯარო პრეზენტაცია), სადაც ფასდება სტუდენტის საშემსრულებლო ტექნიკა (ვირტუოზულობა, კოორდინაციის სიჩქარე და ხარისხი, ინსტრუმენტის თავისებურებების ცოდნა). მაგრამ შედეგის მისაღწევად საკმარისი არ არის კვირაში მხოლოდ 5-6 საათი ინდივიდუალურად მუშაობა (ეს არის 50 წუთი დღეში), რაც აბსოლუტურად არარეალურია სწავლის შედეგების მისაღწევად. იგივე პრობლემა ჩნდება სასწავლო კურსებთან დაკავშირებით „ფორტეპიანოს ხელოვნება“ და „კლავესინზე დაკვრის ხელოვნება“, რომლებიც შედიან სავალდებულო-არჩევით კურსებში. ასეთ პირობებში რეპერტუარის ჩამონათვალი სრულიად გადაჭარბებულია და არ უზრუნველყოფს ამ კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას (იხ. მაგალითად, „ფორტეპიანოს ხელოვნების 4“ სილაბუსი, რომელიც უკიდურესად გადაჭარბებულია: მრავალხმიანობის რეპერტუარში შედის ბახის პარტიტები, ინგლისური სიუიტები, იტალიური კონცერტი, ბახ-ბუსონის ორგანული პრელუდია და ფუგა ე მინორში, ორგანოს საგუნდო პრელუდიები და ფუგები; ჰენდელის სიუიტა, მენდელსონის პრელუდია და ფუგა ფა მინორში, მოსტაკოვიჩის პრელუდიები და ფუგა; საკონცერტო რეპერტუარში შედის ბახის, ჰაიდნის, მოცარტის, ბეთჰოვენის, შუმანის, შოპენის, ლისტის, მენდელსონის, ვებერის, სენ-სანსის, ჩაიკოვსკის, რახმანინოვის, სკრიაბინის, რაველის, ბარტოკის და სხვ. ასევე ჩამოთვლილია რომანტიკული პერიოდის ვირტუოზული ნამუშევრები, როგორცაა შუმანის კარნავალი და ა.შ. შოპენის ბალადები, შერზოსი; ლისტის რაფსოდები, *Années de pèlerinage*; რახმანინოვის *Études-Tableaux* და სხვ.; მე-20 საუკუნის ნაწარმოებები მოიცავს სხვადასხვა რთულ საფორტეპიანო რეპერტუარს და ა.შ.). ამრიგად, რეკომენდებულია შინაარსის, სასწავლო მასალისა და კრედიტების მოცულობის გადახედვა კლავიატურის ინსტრუმენტების / კლასიკური ფორტეპიანოსა და ბაროკოს კლავესინის მუსიკის შესრულების მიმართულებებში.

სასწავლო კურსის „ილიაუნის ხალხური სიმღერის სტუდენტური გუნდი“ სილაბუსში აღწერილი შეფასების კომპონენტები არაზუსტია. სილაბუსების მე-11 განყოფილებაში „შეფასების ფორმები“ კურსის საბოლოო შეფასების კომპონენტი და შესაბამისი გადალახვის მინიმალური ზღვარი არის ტესტირება, მაგრამ საბოლოო შეფასების ფორმის დეტალური აღწერილობა მიუთითებს სხვა ტიპზე - კონცერტში მონაწილეობაზე. ამიტომ რეკომენდებულია სასწავლო კურსის „ილიაუნის ხალხური სიმღერის სტუდენტური გუნდი“ გადახედვა და საბოლოო შეფასებისას სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებული უზუსტობის გამოსწორება.

პროგრამა 3 (კინომცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა)

სიღრმისა და სირთულის მიხედვით მე-3 პროგრამის თითოეული სასწავლო კურსი შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და განათლების მეორე საფეხურს. პროგრამის კატალოგში წარმოდგენილი სასწავლო კურსებისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა შეადგენს 6 კრედიტს, სხვადასხვა საკონტაქტო საათებით, რომელსაც განსაზღვრავს სასწავლო კურსის ლექტორი სასწავლო კურსის სპეციფიკის, შინაარსისა და მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკას. საკონტაქტო საათების რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია მათში განსაზღვრული თემების გათვალისწინებით. თითოეული კურსის ფარგლებში მითითებული სწავლის შედეგი ფასდება შეფასების სისტემაში განსაზღვრული კომპონენტებისა და კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც აღწერილია სილაბუსებში.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა საგანმანათლებლო რესურსები წარმოადგენს შესაბამის მასალას სასწავლო კურსებში წარმოდგენილი თემებისთვის.

თუმცა, მიზანშეწონილია ქმედითი ღონისძიებების გატარება ლიტერატურის განახლებისათვის. ზოგიერთ სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურა არის საბაკალავრო პროგრამის "კინომცოდნეობის" იდენტური სასწავლო რესურსი. ადგილზე ვიზიტის დროს პროგრამის ხელმძღვანელებმაც და სტუდენტებმაც აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია დარგის შესაბამისი უცხოენოვანი ლიტერატურის თარგმანების არსებობა. პროგრამის ხელმძღვანელების თქმით, მათ წარადგინეს უცხოენოვანი წიგნების სია, რომელთა თარგმნასაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტი.

ასევე, რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსის „თანამედროვე მსოფლიო კინოს პრობლემები და ტენდენციები“, რომელიც ასახავს საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსის „თანამედროვე კინემატოგრაფია“ მიზანს, სწავლის შედეგებს, თემებსა და ლიტერატურას.

პროგრამა 4 (ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში, სამაგისტრო პროგრამა)

მე-4 პროგრამის სასწავლო კურსები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამა შედგება 6 და 3 კრედიტიანი კურსებისაგან. სავალდებულო კურსების ფარგლებში ისწავლება როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კურსები. აღნიშნულია, რომ ამ ანგარიშის ქვე-სტანდარტ 1.4-ში ექსპერტთა ჯგუფმა გამოთქვა შემოფოთება იმ კურსების განსაკუთრებით დიდ რაოდენობასთან დაკავშირებით, რაც 2-წლიან (უფრო ზუსტად, პირველ სამ სემესტრის განმავლობაში) სწავლას სხვადასხვა შინაარსით ხდის უკიდურესად ინტენსიურს და მიზანშეწონილად მიიჩნია პროგრამის შინაარსის შემცირება ზოგიერთი საგნის ამოღებით.

კურსის სილაბუსებში მითითებულია სავალდებულო და დამატებითი რესურსები, მათ შორის ლიტერატურა. ზოგიერთი კურსი იყენებს ე.წ. რიდერებს, ვიდეო ლექციებს და ვიდეო დემონსტრაციებს, რომლებიც ეფუძნება თანამედროვე საშემსრულებლო ხელოვნებაში არსებულ უახლეს მიღწევებსა და საუკეთესო პრაქტიკას. თუმცა, ადგილზე ვიზიტის დროს პროგრამის ხელმძღვანელებმაც და სტუდენტებმაც აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია დარგის შესაბამისი უცხოენოვანი ლიტერატურის თარგმანების არსებობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. პროგრამების აღწერილობა, კურიკულუმი და სილაბუსები
2. სწავლის შედეგების და მიზნობრივი ნიშნულების რუკა
3. ინტერვიუს შედეგები ადგილზე ვიზიტის მსვლელობაში

4. თვითშეფასების ანგარიში

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- 1) რეკომენდებულია სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის განახლება ან რიდერის მომზადება, რათა იგი შეესაბამებოდეს მიმართულების/დარგის თანამედროვე მიღწევებს და უახლეს კვლევებს.

კლასტერის ზოგადი რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- 1) სასურველია თითოეული სავალდებულო სასწავლო კურსისთვის განისაზღვროს სწავლის შედეგის მიღწევის დონე (მაგ. ნომერი 1 მიუთითებს კურსის შესავალ დონეს - გაცნობას, 2 – გაღრმავებას, 3 – გამტკიცებას)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 2 (მუსიკის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

- 1) რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსი „ილიაუნის ხალხური სიმღერის სტუდენტური გუნდი“ და გასწორდეს უზუსტობა სტუდენტთა საბოლოო შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით.
- 2) რეკომენდებულია გადაიხედოს შინაარსი, სასწავლო მასალა და კრედიტების მოცულობა მუსიკალური შესრულების სპეციალობებში - კლავიშებიანი ინსტრუმენტები და კლავესინი.

პროგრამა 3 (კინომცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

- 1) რეკომენდებულია, გადამუშავდეს სასწავლო კურსი „თანამედროვე მსოფლიო კინოს პრობლემები და ტენდენციები“, რომელშიც გვხვდება მიზნის, სწავლის შედეგების, თემების და ლიტერატურის დუბლირება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსთან „თანამედროვე კინემატოგრაფი“.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | შესაბამისო ბაშია მოთხოვნე | მეტწილად შესაბამისობაში ა | ნაწილობრივ შესაბამისობაში ია | არ არის შესაბამისობაში ო |
|--|---------------------------------|---------------------------------|------------------------------------|--------------------------------|
|--|---------------------------------|---------------------------------|------------------------------------|--------------------------------|

| | ბთან | მოთხოვნებთან | მოთხოვნებთან | მოთხოვნებთან |
|--|--------------------------|--------------|--------------------------|--------------------------|
| პროგრამა 1 (კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა) | <input type="checkbox"/> | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (მუსიკის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა) | <input type="checkbox"/> | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 3 (კინომცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა) | <input type="checkbox"/> | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 4 (ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში, სამაგისტრო პროგრამა) | <input type="checkbox"/> | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისო ბაშია მოთხოვნე ბთან | მეტწილა დ შესაბამის ობაშია მოთხოვნე ბთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში ო მოთხოვნებთან |
|--|---|---|---|--|
| პროგრამა 1 (კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა) | <input type="checkbox"/> | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (მუსიკის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა) | <input type="checkbox"/> | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 3 (კინომცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა) | <input type="checkbox"/> | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 4 (ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში, სამაგისტრო პროგრამა) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებში ჩარიცხვა მოითხოვს სხვადასხვა წინაპირობებს შემდეგნაირად:

- 1-ელ პროგრამაში ჩასარიცხად საჭიროა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება;
- მე-2 პროგრამაზე ჩასარიცხად – ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება და შემოქმედებითი უნარების ტესტის შიდა კონკურსის გავლა;
- მე-3 და მე-4 პროგრამებისათვის – უნივერსიტეტის მისაღები გამოცდის ჩაბარება.

ზოგადად, ყველა აღნიშნული დაშვების წინაპირობა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამების შინაარსთან, სწავლის შედეგებთან, განათლების საფეხურთან და მინიჭებულ კვალიფიკაციასთან, ასევე ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად საჭირო ცოდნა, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა ჩართვას. ზოგადად, დაშვების წინაპირობები არის სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი (პრობლემური საკითხები იხილეთ ქვემოთ).

აღწერა და ანალიზი

პროგრამა 1 (კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა)

პირველი პროგრამის აბიტურიენტებს მოეთხოვებათ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა; უცხო ენა (გერმანული, ინგლისური, რუსული, ფრანგული) და არჩევითი საგანი: ისტორია/ლიტერატურა/ხელოვნება. წინაპირობები არის სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი.

პროგრამა 2 (მუსიკის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა)

უსდ მიერ წარდგენილ დოკუმენტაციაში მე-2 პროგრამაზე დასაშვებად მითითებულია შემდეგი წინაპირობები:

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების და შიდა საუნივერსიტეტო
2. შემოქმედებითი უნარების ტესტის ჩაბარება.

როგორც მოწოდებულ დოკუმენტაციაშია აღწერილი, შიდა საუნივერსიტეტო

შემოქმედებითი უნარების ტესტი ჩატარდება აუდიციის (მოსმენის) ფორმატში, რომლის ფარგლებშიც ფასდება 2 ზოგადი კრიტერიუმი – მოტივაცია (დარგის ზოგადი და კონკრეტული ცოდნა, სწავლის სურვილი) და კონკურსანტის ძირითადი შემოქმედებითი უნარები (მუსიკის საფუძვლების გააზრება, მსჯელობისა და არგუმენტაციის უნარები). დარგის სპეციალისტთა კომიტეტი ატარებს მოსმენით შეფასებას 30-ქულიანი სისტემით, სამოტივაციო კრიტერიუმებისათვის 15 ქულა და ძირითადი შემოქმედებითი უნარებისათვის კიდევ 15 ქულა. აბიტურიენტი დისკვალიფიცირებული იქნება კანდიდატთა სიიდან, თუ მისი შეფასება იქნება 16 ქულაზე ნაკლები.

ექსპერტთა ჯგუფი ხაზს უსვამს იმას, რომ სასწავლო კურსის მიმართულებების გათვალისწინებით მუსიკის შესრულების მიმართულებებში (ანუ კლასიკური ფორტეპიანო, კლავესინი, ჯაზის ვოკალი და ჯაზ ორკესტრი), არსებული დაშვების წინაპირობები, კონკრეტულად კი - შემოქმედებითი ტესტი, მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება და უწყობს ხელს საშემსრულებლო უნარების სფეროში მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. ეს იმიტომ, რომ მოსმენა უპირველეს ყოვლისა ეყრდნობა გასაუბრებას (მაგრამ არა კონკრეტული მუსიკალური რეპერტუარის პროგრამის შესრულებას) და ამის გამო, შესაბამისი/შესაფერისი კანდიდატების ჩარიცხვის საკითხი იწვევს უნდობლობას და საეჭვოა. ამრიგად, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს შემოქმედებითი ტურის სახით დაშვების უფრო შესაბამისი და დეტალური კრიტერიუმების დაწესებას (მაგ., მუსიკალური რეპერტუარის სახელმძღვანელოს, შესრულების ხანგრძლივობის და ა.შ.); ამ კრიტერიუმების შეფასება ფოკუსირებული უნდა იყოს მუსიკის შესრულებაში კონკურსანტების საშემსრულებლო უნარების გამოვლენაზე.

გარდა ამისა, იდენტიფიცირებულია შეუსაბამობა ორ ინგლისურ დოკუმენტს შორის, კონკრეტულად - სასწავლო გეგმასა და პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს შორის. კურიკულუმში მითითებული იყო შემდეგი „პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)“: „შიდა უნივერსიტეტის შემოქმედებითი უნარების ტესტი და აუდიცია (მოსმენა)...“; ხოლო დაშვების მოთხოვნები მიუთითებს: შიდა საუნივერსიტეტო შემოქმედებითი უნარების ტესტი ჩატარდება აუდიციის **ფორმატში**. თანმიმდევრული რომ ვიყოთ, სასწავლო გეგმის განაცხადი უნდა შესწორდეს „შიდა უნივერსიტეტის შემოქმედებითი უნარების ტესტში აუდიციის **ფორმატში**...“

პროგრამა 3 (კინომოდნეობის სამაგისტრო პროგრამა)

მე-3 პროგრამაზე დასაშვებად, თვითშეფასების ანგარიშით და სასწავლო გეგმით წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ბაკალავრის ან ეკვივალენტური აკადემიური ხარისხის მქონე აპლიკანტმა უნდა გაიაროს:

- 1) საერთო სამაგისტრო გამოცდა და
- 2) შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა.

შიდასაუნივერსიტეტო ზეპირ გამოცდას აქვს შემდეგი წინაპირობები: აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს CV და 400–500 სიტყვიანი ესე მის მიერ არჩეულ ფილმზე. თუ ესე შეფასდება დადებითად, აპლიკანტი დაიშვება ზეპირ გამოცდაზე. ზეპირი გამოცდისა და ესეების შეფასების რუბრიკები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ზეპირი გამოცდა აფასებს სტუდენტის მიერ დარგის საბაზისო ცოდნას, მოტივაციას, აკადემიურ/პროფესიულ მიღწევებს და ქართულ და ინგლისურ ენებზე კომუნიკაციის უნარს. საუნივერსიტეტო გამოცდების პირობების, მოთხოვნების, შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

პროგრამის 2011 წლის აკრედიტაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით (ოქმი No4, 2011 წლის 23 სექტემბერი), ინგლისური ენის ცოდნა განისაზღვრა პროგრამაზე დაშვების წინაპირობად. შესაბამისად, პროგრამის მიმდინარე სასწავლო გეგმაში მითითებულია, რომ კანდიდატის ინგლისური ენის ცოდნა (მინიმუმ B2 დონისა) შემოწმდება შიდა საუნივერსიტეტო გამოცდაზე (ინტერვიუ). თუმცა, არ არის დაკონკრეტებული, გათავისუფლდება თუ არა აპლიკანტი გამოცდის ამ ნაწილისგან

შესაბამისი დონის ცოდნის დამადასტურებელი ცნობის წარდგენის შემთხვევაში. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ წინაპირობები აუცილებლად უნდა განისაზღვროს. ამიტომ, რეკომენდებულია დაზუსტდეს, თავისუფლდებიან თუ არა პროგრამაში ჩარიცხვის მსურველები ინგლისური ენის გამოცდის ვალდებულებისაგან, თუ ისინი წარმოადგენენ ინგლისური ენის B2 დონის ცოდნის დამადასტურებელ დოკუმენტს.

პროგრამა 4 (ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში, სამაგისტრო პროგრამა)

აპლიკანტს არ სჭირდება ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება მე-4 პროგრამაზე დასაშვებად. პროგრამა იღებს ბაკალავრის ან ეკვივალენტური აკადემიური ხარისხის მქონე აბიტურიენტებს, რომლებმაც წარმატებით უნდა ჩააბარონ შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა, რომელიც შედგება შემოქმედებითი რეზიუმეს, შემოქმედებითი საქმიანობის პორტფოლიოსა და სამოტივაციო წერილისაგან. გამოცდის დროს აბიტურიენტს აქვს გასაუბრება, შემოქმედებითი ტური და ჯგუფური ტესტი რეჟისორებისა და მსახიობებისათვის. როგორც ადგილზე ვიზიტისას აღინიშნა, რეჟისურისა და სამსახიობო მიმართულებებზე უნივერსიტეტი იღებს მსურველებს საბაკალავრო განათლების გარეშე; თუმცა, პროგრამისადმი დიდი ინტერესი იწვევს აბიტურიენტებს შორის კონკურენციას და უნივერსიტეტს აძლევს აბიტურიენტთა შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. პროგრამების აღწერილობა და კურიკულუმი
2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია
3. ინტერვიუს შედეგები ადგილზე ვიზიტის მსვლელობაში
4. თვითშეფასების ანგარიში
5. უნივერსიტეტის ვებგვერდი <https://iliauni.edu.ge>

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სტუდენტებისგან და რჩევები პროგრამების მიხედვით: უმჯობესად აწეროთ რეკომენდაციები, რომლებიც რეკომენდაციების კლასტერში ინტეგრირებული უნდა იქნას პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 2 (მუსიკის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა) რეკომენდაციები(ებ)ი:

1) პროგრამაზე დაშვების წინაპირობად, განსაკუთრებით მუსიკალური შესრულების მიმართულებებში (კლასიკური ფორტეპიანო, კლავესინი, ჯაზის ვოკალი და ჯაზ ორკესტრი), რეკომენდებულია შესაბამისი მისაღები კრიტერიუმების შემუშავება (მაგ., მუსიკალური რეპერტუარის სახელმძღვანელო, წარმოდგენის ხანგრძლივობა და ა.შ.) და კანდიდატების შეფასება, მათი საშემსრულებლო უნარების გამოვლენის მიზნით.

2) იმისათვის, რომ დაშვების წესების ფორმულირება ინგლისურ ენაზე თანმიმდევრული იყოს ორ დოკუმენტში (სასწავლო გეგმა და პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები), სასწავლო გეგმის განცხადება უნდა შესწორდეს შემდგენიარად „შიდა საუნივერსიტეტო შემოქმედებითი უნარების ტესტი, აუდიციის (მოსმენის) **ფორმიტ...**“

პროგრამა 3 (კინომცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები(ებ)ი:

- 1) პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში უნდა განისაზღვროს, აქვთ თუ არა კანდიდატებს გამოცდიდან გათავისუფლების უფლება, ინგლისური ენის ცოდნის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარდგენის შემთხვევაში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | შესაბამისო ბაშია მოთხოვნე ბთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში ი მოთხოვნებთან |
|--|---|---|--|--|
| პროგრამა 1 (კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (მუსიკის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა) | <input type="checkbox"/> | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 3 (კინომცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა) | <input type="checkbox"/> | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 4 (ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში, სამაგისტრო პროგრამა) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, ტრანსფერული და კვლევითი უნარების განვითარებას, ასევე შემოქმედებით უნარებს და მათ ჩართვას სწავლის შედეგებზე დაფუძნებულ შემოქმედებით პროექტებში. იმის გამო, რომ ყველა პროგრამას აქვს მხატვრული პროფილი, სტუდენტების უნარების განვითარება მკაფიოდ ჩანს პროგრამების სასწავლო გეგმაში. კვლევით კომპონენტებზე მუშაობის პროცესში სტუდენტებს ხელმძღვანელობენ შესაბამისი კვლევითი გამოცდილების მქონე კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი. უნარების

განვითარების პროცესში პროგრამებში ერთვებიან მუსიკალური ცენტრი და ილიაუნის თეატრი, ასევე პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებთანაც შესაბამისი მემორანდუმებია გაფორმებული. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ ისარგებლონ პარტნიორი დაწესებულებებისა და დონორი ორგანიზაციების ინტელექტუალური და ტექნიკური რესურსებით და ჩაერთონ სხვადასხვა ერთობლივ საგანმანათლებლო და კვლევით აქტივობებში მუზეუმებთან და სამეცნიერო ცენტრებთან დადებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში.

ინტერვიუებმა სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გამოავლინა სტუდენტების აქტიური ჩართულობა სხვა დაწესებულებებთან, ისევე როგორც სტუდენტების კმაყოფილების მაღალი ხარისხი უნივერსიტეტის მხრიდან მხარდაჭერის გამო. ერთ-ერთი კარგი პრაქტიკა არის ოპერისა და ბალეტის თეატრის რეპეტიციებზე დასწრების გამოყენება სასწავლო პროცესის დროს (როგორც სავსე სამუშაოები სტუდენტებისთვის სამაგისტრო პროგრამაში „ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში“).

სტუდენტების შემოქმედებითი უნარების განვითარების ეფექტურობას კიდევ უფრო ზრდის ის ფაქტი, რომ ლექტორები ასევე არიან დამსაქმებლების წარმომადგენლები. კვლევისა და განვითარების ცენტრი ხშირად აცხადებს სხვადასხვა პროექტებს სტუდენტებისთვის, რომლებიც ეხმარება მათ ტრანსფერული და შემოქმედებითი უნარების განვითარებაში.

აღწერა და ანალიზი

პროგრამა 1 (კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა)

პროგრამა 1 უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. პროგრამის პირველი სასწავლო წლის ფარგლებში შესასწავლი კურსები, ზოგადი მოდული, ემსახურება ისეთი ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორცაა: კრიტიკული ანალიზი, აკადემიური მუშაობის პრინციპები და რაოდენობრივი არგუმენტაცია (მაგალითად, „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“, „აკადემიური მუშაობის ტექნიკა/აკადემიური წერა“ და „სტატისტიკა“). ინგლისური ენის კომპეტენციის განვითარების მიზნით ზოგადი მოდულის ფარგლებში სწავლის პირველი სემესტრიდან ტარდება ინგლისური ენის სასწავლო კურსები. მეორე სემესტრიდან სტუდენტები შეისწავლიან კინოს კრიტიკის თეორიასა და პრაქტიკასთან დაკავშირებულ კინომცოდნეობის დარგობრივ კურსებს პროგრამის სავალდებულო კურსები მოიცავს წერის კომპონენტს. სტუდენტები წერენ საბაკალავრო ნაშრომს დასკვნით სემესტრში.

ინტერვიუებისა და უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ სტუდენტები ჩართულნი არიან კვლევით და შემოქმედებით პროექტებში, რომლებიც მოიცავს: სტუდენტურ კონფერენციებს უნივერსიტეტში; საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მიერ ორგანიზებული ყოველწლიური კონკურსს „წერე ქართულ კინოზე“ (რომელშიც მონაწილეობენ პროგრამის ორივე დონის სტუდენტები და აღწევენ მნიშვნელოვან წარმატებებს); ქუთაისის მოკლემეტრაჟიანი ფილმების ყოველწლიური ფესტივალს (პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ორგანიზებით), რომელშიც სტუდენტები ჩართულნი არიან საორგანიზაციო საკითხებში. 2019 წელს შოთა რუსთაველის ფონდის დაფინანსებით და უნივერსიტეტის მხარდაჭერით (პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ორგანიზებით) განხორციელდა პროექტი „საერთაშორისო სამეცნიერო საზაფხულო სკოლა კინომცოდნეობაში“, მათ შორის კრებულის გამოცემა, ქართველი და უცხოელი პროფესორებისა და სტუდენტების (მათ შორის, განხილული პროგრამის სტუდენტების) მიმოხილვებით. ასეთ პროექტებში სტუდენტების ჩართვა ხელს უწყობს მათი კვლევითი და შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

პროგრამის ფარგლებში დამსაქმებელთა მოთხოვნების შესაბამისად ეფექტურად განვითარებული პრაქტიკული და კვლევითი უნარების დადასტურებად შეიძლება

დასახელდეს პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების მიხედვით, პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 52%-ს და შეესაბამება მათ მიერ მიღებულ კვალიფიკაციას ან მასთან დაკავშირებულ დარგებს.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ კინომცოდნეობის პროგრამა ზოგადად არ მოიცავს პრაქტიკულ სასწავლო კურსებს, უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს სტუდენტების უნარების განვითარებას და სხვადასხვა ინსტიტუტებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მემორანდუმებით სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას ჩაერთონ პროფესიულ პრაქტიკაში. ეს აძლევს მათ საშუალებას გამოიყენონ აკადემიურ სივრცეში შეძენილი კომპეტენციები რეალურ პროფესიულ გარემოში.

პროგრამა 2 (მუსიკის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა)

პროგრამა 2 უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ პრაქტიკული, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორც პროგრამის შიგნით, ისე მის გარეთ. პროგრამის ძირითადი მოდული მიმართულია მუსიკალური შემოქმედებითი უნარების, ხოლო ზოგადი მოდული - 60 კრედიტი - ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, როგორც კრიტიკული ანალიზი, აკადემიური მუშაობის პრინციპები და რაოდენობრივი არგუმენტაცია (მაგ., „თანამედროვე აზროვნებაში შესავალი“, „სტატისტიკა“, და „აკადემიური მუშაობის ტექნიკა / აკადემიური წერა“). პროგრამის სტუდენტები ასევე ჩართულნი არიან სხვადასხვა თანამშრომლობით აქტივობებში, რაც დამატებით უწყობს ხელს ამ სფეროში შემოქმედებითი/ტრანსფერული უნარების განვითარებას.

სტუდენტებს საშუალება აქვთ გახდნენ ილიაუნის მუსიკალურ ცენტრში დაფუძნებული ხალხური მუსიკის სტუდენტური გუნდის წევრები. გუნდს აქვს ძალიან აქტიური საკონცერტო ცხოვრება ყოველკვირეული რეპეტიციებით და ხშირი ადგილობრივი და გასვლითი კონცერტებით. ხალხურ გუნდში მონაწილეობა ავითარებს სტუდენტთა შემოქმედებით და მუსიკალურ უნარებს.

პროგრამა 3 (კინომცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამა 3 უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/შემსრულებელი და ტრანსფერული უნარების განვითარებას და მათ ჩართულობას კვლევით პროექტებში. კერძოდ, პროგრამის სავალდებულო კურსების დიდი ნაწილი ეძღვნება თანამედროვე კინოსა და კრიტიკული წერის უახლესი პროცესებისა და ტენდენციების კვლევას, რაც ეხმარება სტუდენტებს საჭირო პროფესიული პრაქტიკული უნარების გამომუშავებაში.

დამსაქმებლის მოთხოვნის შესაბამისად, პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი ემსახურება მტკიცებულებად მათ კარგად განვითარებულ პრაქტიკულ და კვლევით უნარებს. როგორც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის გამოკითხვის შედეგებიდან ირკვევა, კურსდამთავრებულთა 50% დასაქმებულია კვალიფიკაციასთან შესაბამის პოზიციებზე ან სწავლის სფეროსთან დაკავშირებულ დარგებში.

ინტერვიუებისა და უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით დასტურდება, რომ პროგრამის სტუდენტები ჩართულნი არიან სამეცნიერო-კვლევით და შემოქმედებით პროექტებში (პროექტების ნუსხა იხილეთ პროგრამა 1-ში); ასეთ პროექტებში ჩართვა ეხმარება სტუდენტებს განავითარონ არა მხოლოდ დარგობრივი ცოდნა, არამედ უნარები, რომლებიც გადამწყვეტია მათი მომავალი აკადემიური თუ სხვა საქმიანობისათვის. ასეთ პროექტებში სტუდენტებს ხელმძღვანელობენ დარგის კვალიფიციური პროფესიონალები.

პროგრამა 4 (ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში, სამაგისტრო პროგრამა)

მე-4 პროგრამის სტუდენტების პროფესიული განვითარებისა და პრაქტიკული,

სამეცნიერო, საშემსრულებლო, კვლევისა და ტრანსფერული უნარების სწავლების დიდ ნაწილს უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მიერ სახელმწიფო თეატრებთან გაფორმებული მემორანდუმები (მაგ. შოთა რუსთაველის თეატრი, გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების სახელმწიფო თეატრი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი), თეატრალური სტუდიები (მაგ. ბავშვთა და მოზარდთა თეატრი-სტუდია და სხვა), თანამედროვე თეატრალური ხელოვნების განვითარების ცენტრი, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების განვითარების ფონდი და საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. ოპერისა და ბალეტისა და თოჯინების თეატრებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე სტუდენტებს შეუძლიათ შეისწავლონ კონკრეტული თეატრალური ფორმები და გამოუმუშაონ პრაქტიკული უნარები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. პროგრამის სილაბუსები
2. პარტნიორ ინსტიტუტებსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები
3. კურსდამთავრებულთა კვლევა და დასაქმების მაჩვენებლები
4. ილიას უნივერსიტეტის სტუდენტური კონფერენციები
5. საქართველოს ეროვნული კინოცენტრის კონკურსი „წერე ქართულ ფილმზე“, 2019 წლის საერთაშორისო საზაფხულო სკოლა კინომცოდნეობაში
6. სამეცნიერო-კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობის სტატისტიკური მონაცემები;
7. სტუდენტების მიმოხილვები
8. ინტერვიუს შედეგები ადგილზე ვიზიტის მსვლელობაში
9. თვითშეფასების ანგარიში
10. უნივერსიტეტის ვებგვერდი <https://iliauni.edu.ge/ge>

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის ზოგადი რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

| | | | | |
|---|--|--|--|---|
| <p>კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების</p> | <p>შესაბამისო ბაშია მოთხოვნე ბთან</p> | <p>მეტწილა დ შესაბამის ობაშია მოთხოვნე ბთან</p> | <p>ნაწილობრ ივ შესაბამის ობაშია მოთხოვნე ბთან</p> | <p>არ არის შესაბამისობ აში მოთხოვნებ თან</p> |
|---|--|--|--|---|

| განვითარება | | | | |
|---|---|--------------------------|--------------------------|--------------------------|
| პროგრამა 1 (კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (მუსიკის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 3 (კინომცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 4 (ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში, სამაგისტრო პროგრამა) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერის შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერულ პროგრამებზე სწავლება მიმდინარეობს სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდით, რომლებიც ავსებენ ერთმანეთს, შეესაბამებიან სწავლების დონეს, კურსის მონახაზს და ემსახურებიან კურსის სწავლის შედეგების მიღწევას. მათი გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, მათ ურთიერთობას ერთმანეთთან და ინსტრუქტორთან და ისეთი კომპეტენციების განვითარებას, როგორცაა ავტონომიურობა, კრიტიკული მსჯელობა და ანალიტიკური უნარები. თითოეული პროგრამის სასწავლო გეგმის დოკუმენტები და სილაბუსები მიუთითებენ სწავლების გამოყენებულ მეთოდებზე.

მე-3 პროგრამის (სამაგისტრო პროგრამა : „კინომცოდნეობა“) კურსებში გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: ლექცია/სემინარი; სწავლების პრაქტიკული მეთოდი; წერიტი მეთოდი; ელექტრონული სწავლების ელემენტები; ინდივიდუალური სწავლების მეთოდი; ჯგუფური სწავლების მეთოდი; დემონსტრაციის მეთოდი; დისკუსია; კრეატიული პროექტი/ნამუშევარი/პორტფოლიო; პრეზენტაცია; რეპეტიცია და კონცერტი. პროგრამა ხორციელდება მუსიკალური ცენტრის ბაზაზე, რომლის ინფრასტრუქტურა მოიცავს სპეციალურად აღჭურვილ სალექციო დარბაზებს კომპიუტერებით, ეკრანებით, კლავიატურის ინსტრუმენტებით და სხვა შესაბამისი აღჭურვილობით; ჯაზის სარეპეტიციო სტუდია ჯაზ-ორკესტრის ინსტრუმენტებითა და სპეციალური ხმის აღჭურვილობით; ელექტროაკუსტიკური სტუდია კომპიუტერებით, მონიტორებით, დინამიკებით, ეკრანით და სპეციალური კომპიუტერული პროგრამებით მუსიკის შესაქმნელად და რედაქტირებისთვის. მუსიკალური ცენტრი ასევე იყენებს უნივერსიტეტის საჯარო/საკონცერტო სივრცეებს.

პროგრამა 4-ში (სამაგისტრო პროგრამა: "ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში") შემავალი კურსებში გამოიყენება შემდეგი მეთოდები: პრაქტიკული მუშაობა - ოპერისა და ბალეტის და თოჯინების თეატრებში და მასტერკლასებში პრაქტიკის ჩათვლით; თვითრეფლექსია; პროექტები; სწავლა კეთებით; დისკუსია; სიტუაციის მოდელირება; როლური თამაშები და შემთხვევის ანალიზი.

გარდა ამისა, სტუდენტების მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და აკადემიური მომზადების, ასევე სასწავლო პროცესში მათი შეუფერხებლად ჩართვის მიზნით, უნივერსიტეტი ავითარებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს. ამ სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებულია სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნები, მათი აკადემიური მომზადება და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები, მოქნილი სასწავლო გეგმა, სწავლა-სწავლებისა და შეფასების შესაბამისი ფორმები და პირობები. ამავე მიზნით, ლექტორებთან ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრების დაგეგმვა შესაძლებელია წინასწარ სამუშაო საათებში ან სტუდენტის ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე „არგუსის“ გამოყენებით ან კორპორაციული ელექტრონული ფოსტით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას განიხილება სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და, საჭიროების შემთხვევაში, ამ მიზნით უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ასევე შეიძლება შეიქმნას უნივერსიტეტის მიერ ინიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. პროგრამების აღწერილობა, კურიკულუმი და სილაბუსები
2. უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებისა და გაუქმების წესები და პროცედურები
3. პროგრამის შეფასების კრიტერიუმები
4. ელექტრონული პორტალი „არგუსი“ www.argus.iliauni.edu.ge
5. ინტერვიუს შედეგები ადგილზე ვიზიტის მსვლელობაში
6. თვითშეფასების ანგარიში

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის ზოგადი რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

| | | | | |
|--|---|-------------------------------------|---|---|
| კომპონენტი 2.3 სწავლება- სწავლის მეთოდები | შესაბამისო ბაშია მოთხოვნე ბთან | მეტწილა დ შესაბამის ობაშია | ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთა | არ არის შესაბამისობაში ი მოთხოვნებთა |
|--|---|-------------------------------------|---|---|

| | | მოთხოვნე ბთან | 6 | 6 |
|--|---|--------------------------|--------------------------|--------------------------|
| პროგრამა 1 (კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (მუსიკის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 3 (კინომცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 4 (ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში, სამაგისტრო პროგრამა) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებში სტუდენტების შეფასება ხორციელდება „უმალესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების და უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი წესის შესაბამისად. პროგრამებში განსაზღვრულია ECTS შეფასების სისტემა, ხოლო დეტალური შეფასების კომპონენტები, ფორმები და მეთოდები შეტანილია სილაბუსებში.

კლასტერში დაჯგუფებული ყველა პროგრამის შემთხვევაში შეფასების სისტემა წარმოდგენილია მკაფიოდ და ლოგიკურად, ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და გამოიყენება რეგულარულად. მცირე განსხვავებებია პროგრამებს შორის, რაც გამოწვეულია მათ შორის განსხვავებებით (მაგ. კლასების განსხვავებული რაოდენობა, ECTS ქულების განსხვავებული რაოდენობა და სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში კვლევის კომპონენტი). სტუდენტის ყველა შეფასება შეესაბამება სახელმწიფო რეგულაციებს.

საბაკალავრო პროგრამები

შეფასების სქემასთან და ქულების განაწილების სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით განსაზღვრული

სწავლიდან. შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით და მაქსიმალური შეფასება კი 100 ქულაა. შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. საბოლოო შეფასებისათვის ეს ზღვარი არ აღემატება მისთვის განსაზღვრული ქულების 60%-ს. საბოლოო შეფასების შედარებითი წილი არ აღემატება 30 ქულას. საბოლოო შეფასება წარმოადგენს კურსის სავალდებულო კომპონენტს.

შეფასების სისტემა შედგება ხუთი დადებითი და ორი ტიპის უარყოფითი შეფასებისაგან.

| ქულები | შეფასება |
|--------|--|
| 91-100 | შესანიშნავი (A) |
| 81-90 | ძალიან კარგი (B) |
| 71-80 | კარგი (C) |
| 61-70 | საშუალო (D) |
| 51-60 | დამაკმაყოფილებელი (E) |
| 41-50 | არადამაკმაყოფილებელი (FX) სტუდენტს უფლება აქვს კიდევ ერთხელ ჩააბაროს დასკვნითი გამოცდა |
| 0-40 | ჩაიჭრა (F) სტუდენტმა ხელახლა უნდა გაიაროს კურსი |

განსაკუთრებული აქცენტი კეთდება განმავითარებელ შეფასებაზე, რათა სტუდენტმა შეძლოს კომენტარის გამოყენება გაუმჯობესებისათვის. როგორც ინტერვიუების დროს გვითხრეს, სტუდენტები შეფასების შედეგებს ოპერატიულად ეცნობიან ელექტრონულ პორტალ „არგუსში“ www.argus.iliauni.edu.ge. „არგუსი“ იძლევა სტუდენტსა და ლექტორს შორის მუდმივი კომუნიკაციის შესაძლებლობას. სტუდენტებისა და პროგრამის აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს შორის ეფექტური ინტერაქციისათვის ასევე გამოიყენება ინდივიდუალური საკონსულტაციო საათები.

სტუდენტებს სწავლის დაწყებისას ეძლევათ კურსის სილაბუსი, ამიტომ ისინი კარგად იცნობენ თითოეულ კურსში გამოყენებულ შეფასების მეთოდებს.

ინტერვიუსას ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ზოგიერთ სილაბუსში არის ცვლილებები სტუდენტების გამოხმაურების გამო. მე-2 პროგრამის (საბაკალავრო პროგრამა: "მუსიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)") სპეციფიკიდან გამომდინარე, სადაც გამოხმაურება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, სტუდენტი იღებს გამოხმაურებას და კომენტარებს პროფესორისაგან ინდივიდუალური/სტუდიური/რეპეტიციური გაკვეთილების დროს.

ინტერვიუების მეშვეობით დადგინდა, რომ ლექტორები აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, აცნობენ სტუდენტებს მიღებული შეფასების ძლიერი და სუსტი მხარეებს, უწევენ კონსულტაციას და ა.შ. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ხშირად ინდივიდუალურად იღებდნენ სიტყვიერ კომენტარებს.

უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც ცნობილია პროგრამის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის, თუმცა გამოიყენება იშვიათად. შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა სტუდენტებს ეცნობათ სასწავლო წლის დასაწყისში. ინტერვიუებისას სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს ჰკითხეს შეფასების გასაჩივრების მაგალითები, თუმცა ვერავინ ვერ გაიხსენა ერთი შემთხვევაც კი.

უნივერსიტეტს აქვს პროგრამა Turnitin ტექსტებს შორის მსგავსებისა და პლაგიატის გამოვლენის მიზნით. პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და მასზე რეაგირების წესების მიხედვით, თუ აკადემიური განათლების ყველა საფეხურზე საგანმანათლებლო ან კვლევით კომპონენტებში შექმნილ წერილობით დავალებებში გამოვლინდება პლაგიატი, კურსის ლექტორს უფლება აქვს უარყოს წერილობითი დავალება შეფასების გარეშე.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პერსონალური და პროფესიული განვითარების ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიკაციის ამაღლების მოდულებს პერსონალის სწავლა-სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდების კუთხით. ტრენინგის ეს მოდულები შემუშავებულია საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის

გათვალისწინებით, ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის საფუძველზე.

აღწერა და ანალიზი

პროგრამა 1 (კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა)

საბაკალავრო ნაშრომი მოიცავს 6 კრედიტს, გვერდების რეკომენდებული რაოდენობა შეადგენს 25-35 გვერდს, ხოლო დისერტაცია წარმოადგენს წერილობით კვლევით ნაშრომს დარგის აქტუალურ საკითხზე. სტუდენტი სწავლის ბოლო სემესტრში ასრულებს საბაკალავრო ნაშრომს და წარუდგენს ხელმძღვანელს, რეცენზენტსა და დაცვის კომიტეტს. სტუდენტი იცავს საბაკალავრო ნაშრომს შესაბამისი დარგობრივი კომიტეტის წინაშე სემესტრის ბოლოს საგამოცდო პერიოდში. ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის შეფასების ქულები შეადგენს თითოეული მათგანის მიერ მიცემული ქულების საშუალო არითმეტიკულს.

| საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კომპონენტები | | |
|---|------------|---------------|
| შეფასების კომპონენტები | ქულე ბი | ორიენტი რი |
| (თანა)-ხელმძღვანელის პირველი შუალედური შეფასება | 20 | 11 |
| (თანა)-ხელმძღვანელის მეორე შუალედური შეფასება | 20 | 11 |
| რეცენზენტის შეფასება ორი კოლეგა რეცენზენტის შემთხვევაში გამოითვლება მათი შეფასებების საშუალო ქულა | 30 | 15 |
| თავდაცვის პროცესის შეფასება კომიტეტის წევრების მიერ დისერტაციის დაცვის ქულა შეადგენს მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულს | 30 | 15 |

სამაგისტრო პროგრამები

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება მაგისტრატურის საფეხურზე არის ერთჯერადი და მრავალკომპონენტიანი საკითხი. ნაშრომი ფასდება კოლეგიური შეფასებით, საკომისიო წესით. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების პროცესში ჩართულია ნაშრომის ხელმძღვანელი, რეცენზენტი და დაცვის შეფასების კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია დარგის აქტიური სპეციალისტებით.

აღწერა და ანალიზი

პროგრამა 3 (კინომცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა)

სამაგისტრო ნაშრომს ენიჭება 30 კრედიტი. მისი მინიმალური მოცულობა არის 55 გვერდი დანართებისა და ბიბლიოგრაფიის გარეშე.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვა. დაცვის კომიტეტის მოწვევა და დამტკიცება ხდება მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით დასკვნითი სემესტრის სასწავლო (ლექციები/სემინარები) პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში. კომიტეტი შედგება შესაბამისი კვლევითი გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალისაგან (მინიმუმ 3 წევრი). დაცვის თარიღს სტუდენტს, ხელმძღვანელს და კომიტეტის წევრებს უცხადებს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროგრამის კოორდინატორი.

შეფასება. შეფასება ეფუძნება 100-ქულიან სისტემას. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 51-დან 100 ქულამდე დაგროვება. შეფასების სისტემაში ქულები ნაწილდება შემდეგი სქემის მიხედვით:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა;

- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
- (C) კარგი - 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა.
- (FX)- ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც გულისხმობს, რომ სტუდენტს მეტი მუშაობა ჭირდება და ეძლევა გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება, რისთვისაც მოემზადება დამოუკიდებლად;
- (F) ჩაიჭრა - 40 და ნაკლები ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არ არის საკმარისი და მან ხელახლა უნდა გაიაროს კურსი.
შეფასების კომპონენტები და შესაბამისი ორიენტირები:

| შეფასება | შეფასების კომპონენტები | ქულები | ორიენტირი |
|----------|-----------------------------|--------|-----------|
| | ხელმძღვანელის მიერ შეფასება | 30 | 14 |
| | რეცენზენტის მიერ შეფასება | 40 | 21 |
| | სამაგისტრო ნაშრომის დაცვა | 30 | 16 |

თუ სტუდენტი ვერ გადალახავს მინიმალურ ზღვარს რომელიმე კომპონენტში, მან უნდა დაწეროს სამაგისტრო ნაშრომი მომდევნო სემესტრში/სემესტრებში.

პროგრამა 4 (ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში, სამაგისტრო პროგრამა)

სტუდენტს უნდა ჰქონდეს გავლილი ყველა სავალდებულო კურსი, ასევე პროგრამით შემოთავაზებული ყველა მასტერკლასი, რათა შეძლოს სადიპლომო პროექტზე მუშაობის დაწყება. სადიპლომო შესრულების პროექტი მოიცავს 30 ECTS კრედიტს. სადიპლომო პროექტის საერთო ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 60 წუთს. უნივერსიტეტის აკადემიური სტილის მოთხოვნების შესაბამისად სპექტაკლისა და როლის თეატრალური ანალიზი უნდა იყოს მინიმუმ 20 გვერდი (გარდა სათაურისა და ბიბლიოგრაფიისა). უნივერსიტეტის აკადემიური სტილის მოთხოვნების შესაბამისად სპექტაკლის სარეჟისორო ახსნა უნდა იყოს მინიმუმ 30 გვერდი (გარდა სათაურისა და ბიბლიოგრაფიისა).

პროექტის შეფასებისთვის, ბოლო სემესტრის სასწავლო პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, მოწვეული იქნება და დამტკიცდება დარგთან დაკავშირებული ექსპერტებისგან შემდგარი სპეციალური კომიტეტი (ანუ აკადემიური პერსონალი და მოწვეული წევრები).

სადიპლომო პროექტის საჯარო შესრულების შეფასება სამსახიობო და სარეჟისორო სპეციალობებში:

| კურსი/მიმართულება | შეფასების კომპონენტები | ქულები | ორიენტირი |
|----------------------|---|--------|-----------|
| სამსახიობო ხელოვნება | სარეჟისორო ხელმძღვანელის შეფასება მუშაობის პროცესის, ასევე სპექტაკლისა და როლის თეატრალური ანალიზის შესახებ | 10 | 51 |
| | სარეჟისორო ხელმძღვანელის შეფასება როლზე მუშაობის პროცესში | 20 | |
| | რეცენზენტის მიერ თამაშის შეფასება და როლის თეატრალური ანალიზი | 20 | |
| | რეცენზენტის მიერ სადიპლომო პროექტის საჯარო შესრულების შეფასება | 20 | |
| | სადიპლომო პროექტის საჯარო შესრულება | 30 | |

საჯარო შესრულების ქულები შეადგენს კომიტეტის წევრების მიერ მინიჭებული ქულების არითმეტიკულ საშუალოს

| | | | |
|--|---|----|----|
| დრამის დადგმ ა | სარეჟისორო ხელმძღვანელის მიერ სამუშაო პროცესის შეფასება და თამაშის სარეჟისორო ახსნა | 10 | 51 |
| | სარეჟისორო ხელმძღვანელის მიერ თამაშის დადგმის პროცესის შეფასება | 20 | |
| | რეცენზენტის მიერ თამაშის სარეჟისორო ახსნა შეფასება | 20 | |
| | რეცენზენტის მიერ სადიპლომო პროექტის საჯარო შესრულების შეფასება | 20 | |
| | სადიპლომო პროექტის საჯარო შესრულება | 30 | |
| საჯარო შესრულების ქულა შეადგენს კომიტეტის წევრების მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულს. | | | |

გარდა აღნიშნულისა, სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში, სადიპლომო შესრულების შეფასების პროცესში ჩართულია ნაშრომის ხელმძღვანელი, რეცენზენტი და საჯარო პრეზენტაციის შესაფასებლად მოწვეული კომიტეტი, რომელიც დაკომპლექტებულია დარგის მოქმედი სპეციალისტებით. ყველა საჯარო პრეზენტაციის (სადიპლომო შესრულების და პრაქტიკული კურსების დასკვნითი გამოცდების) გადაღება ხდება უნივერსიტეტის მედიაცენტრის მიერ, რათა შეფასების გასაჩივრების შემთხვევაში სააპელაციო კომიტეტმა შეძლოს ნაშრომის შეფასება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. პროგრამების აღწერილობა, კურიკულუმი და სილაბუსები
2. სადიპლომო წარმოდგენის/სამაგისტრო ნაშრომის/პორტფოლიოს კონცეფციები
3. საბაკალავრო ნაშრომები - 2023 წ.
4. სამაგისტრო ნაშრომები - 2023 წ.
5. ელექტრონული პორტალი "არგუსი" www.argus.iliauni.edu.ge
6. სისტემები <http://elearning.iliauni.edu.ge> and <http://turnitin.com>
7. თვითშეფასების ანგარიში
8. ინტერვიუს შედეგები ადგილზე ვიზიტის დროს (აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან)

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის ზოგადი რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
|---|------------------------------|---------------------------------------|---|--------------------------------------|
| პროგრამა 1 (კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (მუსიკის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 3 (კინომცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 4 (ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში, სამაგისტრო პროგრამა) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|--------------------------------------|
| პროგრამა 1 (კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (მუსიკის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 3 (კინომცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 4 (ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

| | | | | |
|---------------------------------|--|--|--|--|
| თამაში, სამაგისტრო პროგრამა) | | | | |
|---------------------------------|--|--|--|--|

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული პროგრამების თვითშეფასების ანგარიშის, შესაბამისი თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით შეგროვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა, რომ სტუდენტთა ხელშეწყობისათვის აუცილებელი მომსახურებები უნივერსიტეტში უმეტესწილად ხორციელდება.

სტუდენტების მხარდაჭერის სერვისები უნივერსიტეტში ყველა სტუდენტისთვის ერთნაირია. ძირითადად, კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებს საერთო აქვთ „სტუდენტების/პროფესიონალი სტუდენტების შეფასების, კრედიტის მინიჭებისთვის, რანჟირებისათვის და სხვა/განმეორებადი კურსების/კომპონენტებისათვის თანხის გადახდის დადგენის წესი“ და სპეციალურად შემუშავებული პორტალი „არგუსი“. რომელიც აღწერს საკონსულტაციო სამსახურში ჩართული პირების დატვირთვას, ფუნქციებს, მოვალეობებს და ა.შ. სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების, დასაქმებისა და პროფესიული განვითარების კუთხით. „არგუსის“ მეშვეობით სტუდენტებს საშუალება აქვთ მთელი წლის განმავლობაში დაუკავშირდნენ საგანმანათლებლო კომპონენტების ხელმძღვანელებს, მიიღონ საჭირო ინფორმაცია და გამოხმაურება აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.

კლასტერული პროგრამების ფარგლებში სტუდენტებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში, რომლებიც შეესაბამება განათლების საფეხურს. სტუდენტებს გააჩნიათ საერთაშორისო და ადგილობრივ ფესტივალებში, სპექტაკლებში, ღონისძიებებში, კონკურსებში, ტურებში და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობის გამოცდილება. საგარეო ურთიერთობების სამსახური ზედამხედველობს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებს (მაგ; ერასმუს +) და უზრუნველყოფს საერთაშორისო მობილობის შემოღებას უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტებისთვის ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრი. ცენტრში სტუდენტებს ემსახურებიან პროფესიონალები, რომლებმაც დაამთავრეს უნივერსიტეტი, მათ შორის სამაგისტრო პროგრამა ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართულებით, უახლესი მტკიცებულებებზე დაფუძნებული მეთოდების გამოყენებითა და რეგულარული ზედამხედველობის თანხლებით.

უნივერსიტეტში მოქმედებს ილიაუნის სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი, რომელიც აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას საუნივერსიტეტო ღონისძიებების, დასაქმების ხელშეწყობის, სეზონური სკოლების, სეზონური გასვლითი ბანაკების, სპორტის, სტუდენტური ცხოვრების ფორუმს საუნივერსიტეტო სივრცეში ახალწვეულთა ორიენტაციისათვის, სტუდენტური პროექტების დაფინანსების, სტუდენტური კლუბების, სწავლის პროცესში რეგისტრაციის

საკითხების და კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზის განახლების შესახებ. უნივერსიტეტის განვითარების სამსახური მხარს უჭერს სტუდენტების ჩართულობას საერთაშორისო პროექტებში, ავრცელებს ინფორმაციას სხვადასხვა საერთაშორისო საგრანტო კონკურსებისა და სამეცნიერო შესაძლებლობების შესახებ.

სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის უნივერსიტეტი ატარებს მარი ბურდულის სახელობის "დასაქმების თვეს". UNIJOBS-ის სერიები მოიცავს შეხვედრებს დამსაქმებლებთან, ტრენინგებსა და კონსულტაციებს კარიერული განვითარებისათვის და ა.შ

პროგრამები 1 და 3 (კინომცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა და კინომცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა)

